# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 23 ივლისი 1998 №126 (661) ფასი 40 თეთრი


# კოლხეთი — ცრვენა ზვეზდა 0:4!

# დინამო — ვლაზნია 3:0?

## მარტო ჩვენ არ გვეშლება

### შესაძლებელია, უეფამ დინამოს 3:0 მოგება ჩაუთვალოს

„დინამო“ — „ვლაზნიას“ მატჩის 83-ე წუთზე ალბანელებმა სასურველი ანგარიშის შესანარჩუნებლად დროის გაყვანის ხერხს ერთხელაც მიმართეს. კაცნაკლულად დარჩენილებმა მარჯვენა მცველ ზმიანის ნაცვლად №14 მოთამაშე შეუშვეს მინდორზე.

სტადიონის დიქტორს არ დაუხანებია, ზმიანის მაგივრად მოედანზე ბიზი შევიდაო. ვისაც ხელთ გუნდების შემადგენლობანი ჰქონდა, გაურკვევლობაში დარჩებოდა. ტელეკომენტატორი ჯამლეთ ხუხაშვილი, ვისაც საქართველოს ტელევიზით რეპორტაჟი მიჰყავდა, სულაც სახტად დარჩენილა.

მატჩი, რომ მორჩა საპრესკონფერენციო დარბაზთან ამაოდ ვიყურყუტეთ. „დინამოს“ თავკაცი აგრეთც არ გვეახლა და ალბანელთა ავტობუსმაც მალევე ჩაგვიქროლა. ის იყო, ჟურნალისტები რედაქციებისკენ აჩქარდნენ, ხუთიოდ კაცი გუნდების გასახდელებისკენ თითქმის იმედგამქრალნი რომ გავეშურეთ — ვინ იცის, იქნებ პრესკონფერენცია სხვაგან ტარდებაო.

„დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე აღელვებული შემოგვეგება, მოდით, ახლა დიდი სკანდალის მოწმე შევიქნებითო. სხვისი არ ვიცი და, მე კი ეს ვიფიქრე, ნაფოტებითა და რკინეულით სავსე სტადიონის პატრონთ უეფა ხომ არ გააჯარიმებს-მეთქი, თქვენც არ მომიკვდეთ. უეფას ბელგიელმა დელეგატმა ვილი გუვერტსმა სტადიონის მდგომარეობის გასწვრივ „ზეერ გუტ“ ჩაწერა, აი, საგანგებო შენიშვნის ადგილი კი ჩვენთვის სასიამოვნო ჩანაწერით აავსო.

ასეთი რა მოხდაო, იკითხავთ, ან ეს ამხელა 3:0 კითხვის ნიშნით რად დაგიწერიათ, „დინამომ“ ხომ ოდენ ერთი გაიტანაო?

რა და იმდაგვარი თუ უფრო უარესი რამ, რაც შარშან „ბათუმს“ და სოლოლაშვილს მოუვიდა, გუშინ „ვლაზნიას“ შეემთხვა. ის შავგვრემანი კაცი, თეთრი, 14-ნომრიანი მაისურით სულ 7-8 რომ ითამაშა, განაცხადში შეყვანილიც არ ჰყავდათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო განყოფილების მუშაკმა გია ისიანმა მატჩის ინსპექტორს დარღვევაზე მიუთითა და განმარტება სთხოვა.

ვილი გუვერტსის პასუხი ეს იყო: „მე შემიძლია, მხოლოდ ის დავადასტურო, რაც დავინახე. „ვლაზნია“. №14 არ იყო თამაშამდე შეყვანილი ოქმში. აქ მაქვს



Visiting team
Equipe visiteuse
Gastmannschaft

| Players, names and Christian names* / Noms et prénoms des joueurs* / Namen und Vornamen der Spieler* | born on / né le / geb. am | |
|---|---|---|
| 1. Armir Grimaj | 16.06.74 | 1 |
| 2. LUBAN ZHIZAI | 19.06.76 | 2 |
| 3. Suat Lici | 24.03.74 | 3 |
| 4. Astrit Premci | 20.10.70 | 4 |
| 5. Ilir Shkaşari | 04.05.73 | 5 |
| 6. Alsan Noga | 14.11.69 | 6. |
| 11. Salvador Kacaj | 23.10.69 | 11 |
| 8. Altin Hysa | 18.10.76 | 8. |
| 9. Viorensin Sinani | 04.11.77 | 9. |
| 10. Armando Cungu | 23.04.73 | 10. |
| 13. Auron Miloti | 04.08.74 | 13 |
| 12. Arion Mustafa | 29.01.80 | 12 |
| 7. Brikeno Dizi | 07.09.72 | 7. |
| 16. Gjergj Shllaku | 10.08.76 | 16. |

Signature/Unterschrift

№14 განაცხადში ვერავინ იპოვა

ასლი, რომელშიც არ არის მისი გვარი. არადა №2-ის ნაცვლად შემოვიდა 83-ე წუთზე „ვლაზნიამ“ მატჩამდე მხოლოდ სამი ფეხბურთელი შეიყვანა განაცხადში. რაც მათ გააკეთეს ამას ვადასტურებ. მათ სათადარიგო მსაჯს შეცვლის ფურცელი მისცეს, სადაც მხოლოდ მოთამაშეთა ნომრები იწერება. ეს დარღვევა მანაც ვერ შეამჩნია. მას ოქმი კი გააჩნდა, მაგრამ იმ დროს, როცა უნდა ჩაეხედა არ ჰქონია. ეს მეც შევამჩნიე და შემიძლია მხოლოდ ის დავადასტურო, რაც მოხდა. ამას გავაკეთებ და უეფასაც შევატყობინებ“.

გუვერტსმა ფაქსი მართლა გაგზავნა, რაც ჩვენ გვითხრა, ოქმშიც იგივე ჩაწერა. ახლა ჯერი უეფაზეა. ამ დარღვევისთვის „ვლაზნიას“ 0:3 წაგება უნდა ჩაუთვალოს, სათადარიგო მსაჯ რობერტო ფერარის კი ეგებ ამ დონეზე მსაჯობაც აუკრძალონ.

ნეტავ, ის შავი კაცი ვილა იყო?

**ვახტანგ გზიძაძე**


მატჩების რეპორტაჟები
იხილეთ მეორე გვერდზე




ოგნიენოვიჩს, რომ დაგვპირდა, თუ შესაძლებლობა მექნა გავიტანო, კოლხი ქობულაძე კი მეურვეობდა, მაგრამ მონასტერი რომ აირია, შეეშვა



გუშინ შვეიცარიული „გრასჰოპერისგან“ ლუქსემბურგის „ჟენესის“ 6:0 განადგურებაში ერთი ბურთის გატანით წილი მიხეილ ყაველაშვილმაც დაიდო


### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

1998-99 წლების საფეხბურთო სეზონის აკრედიტაციის მისაღებად გთხოვთ განაცხადი წარადგინოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში. 23-28 ივლისს 11-14 საათამდე.


# დინამოს დაკვირვება სჭირდება

## ფრთხილობს ლუის ფერნანდესი

„დინამოსა“ და „ვლაჟნიას“ შორის გამარჯვებულის მომლოდინე ბილბაოს „ატლეტიკმა“, როგორც ჩანს, უკვე იცის თავისი მომავალი მეტოქის ვინაობა და თბილისში კლუბის გენერალური დირექტორი აფრინა მზვერავთან ერთად. დირექტორისთვის შესაფერისი სასტუმროს დაჯავშნა და სხვა ორგანიზაციული საკითხების წინასწარ მოგვარება დაუვალებიათ. ხოლო მზვერავს რა ფუნქციაც ეკისრება, მოგეხსენებათ — მიგელ ანდრესს გუშინ ეროვნული სტადიონის ლოჟაში მარჯვენა არ გაუჩერებია, ბლოკნოტში გამუდმებით რაღაცას ინიშნავდა, მატჩის დამთავრების შემდეგ კი „სარბიელისთვისაც“ მოიცალა.

**— ბატონო მიგელ, „ატლეტიკში“ რა თანამდებობაზე მუშაობთ?**

— ჩემი საქმე მეტოქე გუნდების შესახებ ინფორმაციის დაწვრილებით მოპოვებაა. თბილისშიც ამიტომ ჩამოვედი, მალე ხომ თქვენს „დინამოსთან“ თამაში გველის.

**— კი მაგრამ, „ვლაჟნია“? საპასუხო მატჩი წინ არაა?**

— ალბანელები „დინამოს“ დამმარცხებელნი არ არიან. დარწმუნებული ვარ, „ატლეტიკის“ მეტოქე ქართული კლუბი იქნება. როგორც კი კენჭისყრა დამთავრდა, ჩვენმა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა მაშინვე თქვა — გავემზადოთ, ჩვენი მეტოქე „დინამოა.“ დიდი ტრადიციებისა და მაღალი კლასის გუნდი. ქართველები ტექნიკით გამოირჩევიანო.

**— კლასის რა გითხრათ, მაგრამ ტრადიციებით ნამდვილად დაიტრაბახებენ დინამოელები. ფერნანდესს, მგონი, ზედმეტი მოუვიდა.**

— არა, რატომ? მწვრთნელმა კარგად იცის ფეხბურთი და ტყუილად არაფერს ამბობს.

**— ეთანხმებით მის აზრს?**

— ნაწილობრივ. „დინამოს“ ევროპული ფეხბურთის გრანდებს ვერ შევადარებ, კლასში სხვაობა მართლაც საგრძნობია, მაგრამ უდავოდ პერსპექტიული ბიჭები რომ არიან და თამაში იციან, ამას მტკიცება არ სჭირდება.

**— „ვლაჟნიასთან“ მატჩზე რას იტყვით?**



ესპანელთა მზვერავი მიგელ ანდრესი

— ქართველებს დიდი ანგარიშით მოგება შეეძლოთ. უამრავი მომენტი ვერ გამოიყენეთ. ინდივიდუალურად კარგად მომზადებული ფეხბურთელები გყავთ. აი, გუნდური თამაში კი ცოტა დასახვეწია. ანგარიში არალოგიკურად მიმაჩნია, დინამოელები მეტს იმსახურებდნენ.

**— ქართველებიდან ვინ მოგეწონათ?**

— კონკრეტულად არ გეტყვით. ეს ჩემი საიდუმლოა. ისე, ბევრია კარგი ფეხბურთელი, მაგრამ ჯერ ახალგაზრდები არიან და რაღაც აკლიათ. მომეჩვენა, რომ „დინამო“ გადაღლილი იყო. ეტყობა, მწვრთნელმა ფიზიკურად საკმაოდ დატვირთა ფეხბურთელები.

**— სხვა რა ნაკლი გენიშნათ ჩვენი გუნდის თამაშში?**

— დაცვაში გიჭირთ. მცველები ერთმანეთს დროულად ვერ აზღვევდნენ.

**— „ატლეტიკში“ რა სიახლეა?**

— მნიშვნელოვანი არაფერი. ეგაა, იულენ გერეროს ძმამ, მანუელმა დაგვტოვა. დავიმატეთ ორი ფეხბურთელიც.

**— თავად იულენი წასვლას არ აპირებს?**

— არა, არა, რას ამბობთ. მან კიდევ დიდხანს უნდა ითამაშოს ჩვენთან, „ატლეტიკთან“ ხანგრძლივი კონტრაქტი აკავშირებს.

**— ფერნანდესმა კარგად იცის ქართული ფეხბურთიო, თქვით. თქვენ თუ გსმენიათ ჩვენზე?**

— არაფერი. პირველად ვნახე ქართული კლუბის თამაში. ფერნანდესმა კი მითხრა, მაგ ბიჭებს კარგად დააკვირდი, „დინამო“ ერთ-ერთი ევროთასის მფლობელიაო.

**— არც საქართველოს ნაკრების მატჩები გინახავთ?**

— წარმოდგენა არა მაქვს.

**— „დინამო“ რომ „ვლაჟნიას“ მოუგებს, დარწმუნებული კი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენთან შეხვედრისას „ატლეტიკის“ გამარჯვებაც უეჭველად მიგაჩნიათ?**

— ეგ ასპროცენტიანია. ნუ გეწყინებათ, მაგრამ მოგიგებთ. თქვენც და „ვლაჟნიასაც“.

**— დიდი ანგარიშით? ქართველები და ბასკები ხომ ნათესავები არიან?**

— ამის შესახებ მეც გამიგონია. თუმცა იმედი ნუ გექნებათ. „ატლეტიკი“ ყველა მატჩს უშელავათოდ თამაშობს.

**კობა ინასარიძე**

# ფაფუ, უეფა...

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.
22 ივლისი. ფოთი. ფაზისი. 10 000 მაყურებელი

## კოლხეთი 0:4 ცრვენა ზვეზდა

0:1 ოგნიენოვიჩი (20); 0:2 აჩიმოვიჩი (55); 0:3 პანტელიჩი (63); 0:4 აჩიმოვიჩი (75)

იუზა კაციტაძის, ლაშა გოდუაძის და ბადრი კეთილაძის (ფოტო) რეპორტაჟი ფოთიდან

უეფას უთუოდ ღირსეული და, თავისთავად, ჭკვიანი ხალხი განაგებს. ბოდიშს კი ვიხდით, მაგრამ, ეტყობა, ამათაც ეშლებათ რაღაც-რაღაცეები. ამას რატომ ვამბობთ? აბა, ცრვენასნაირ გუნდს ტურნირის შესარჩევ ეტაპზე თამაში როგორ აკადრეს, ის ხომ ასეთ უპატივცემულობას ნამდვილად არ იმსახურებდა. არა, ახლანდელი „ცრვენა", იუგოსლავიის ყველაზე სახელოვანი კლუბი დღესდღეობით თავისი დონით მთლად ახლოს არ არის იმისგან, ამ შვიდი წლის წინ ევროპის ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასს რომ დაეუფლა, მაგრამ კლასი კი შემორჩენია და ახლაც სოლიდურ ძალას წარმოადგენს. გუშინდელმა თამაშმა ამაში თვალნათლივ დაგვარწმუნა. იუგები ფოთში ყველა რგოლში კარგად დაკომპლექტებულ, შეთანხმებულ, საათის მექანიზმივით აწყობილ გუნდად მოგვევლინნენ. ახლა უკვე გასაგებია, სტუმრები ჩამოსვლისთანავე დაურიდებლად, ერთხმად რომ გვაფრთხილებდნენ, ჩვენთან ვერას გახდებითო. ჰქონიათ სალაპარაკო და ეგ არის, მით უმეტეს თავიანთი მეტოქე, როგორც ეს „ცრვენას" თავკაცმა მილორად კოსანოვიჩმა გაგვიმხილა, ხუთი თითივით ჰყოლიათ შესწავლილი. ყველა სხვასთან, ესეც ერთი დიდი პლუსი, „კოლხეთს" ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა გუნდთან მიეცა საქმე და, ალბათ, ამიტომაც იყო ჩვენები გულს რომ არ იტეხდნენ. სოსო ფილია არ იყო, რომ გვაიმედებდა, ჩვენ ჩვენსას შევეცდებით, თავს არ შევირცხვენთო? ბიჭები სრულ მზადყოფნაში გვყავსო. შეცდა კოლხთა გუნდის მესაჭე, აშკარად შეცდა. თუმცა რა მისი ბრალი იყო. გუშინ „კოლხეთს" ტაკეც რომ გაძლოლოდა, ისიც ცოდო იქნებოდა. მეტოქეები, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

თამაში თანაბარი საწყის ათ წუთში თუ იყო. როგორც ჩანს, იუგებმა თავი დაიზღვიეს, ერთხელაც შეათვალიერეს მოწინააღმდეგე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდნენ საქმეს. ოგნიენოვიჩი მართლა მაგარი ყოფილა. თავიდან მარცხენა ფლანგიდან გვიტევდა, მერე ცენტრში გადაინაცვლა, გოლი კი კოლხთა საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილმა გაიტანა, პანტელიჩს და გოიკოვიჩს შრომა დაუფასა. სტუმრებმა ეს კომბინაცია ისე სწრაფად გაითამაშეს, ჩვენები კარგა ხანს ვერ მოეგნენ გონს, ისე მანამდე თამაშგარე კი მოთხოვეს გვერდითს... ოგნიენოვიჩს კიდევ ორი კარგი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ აღარ გაუმართლა. პერიცას მეტჯერ აღარ გავუმწარებივართ, თუმცა ის მაინც ყველაზე სახიფათო იყო ჩვენთვის.



პანტელიჩმა, ქვაჩახიას და გიორგაძეს რომ გასცდა, ცარიელ კარში გაიტანა

რაოდენ საწყენიც არ უნდა იყოს, მასპინძლებმა შესვენებამდე ერთხელაც ვერ შეუტიეს ხეირიანად. ჩვენი შუა ხაზი ისე აქტიური არ იყო, წინ წაწეული წივწივაძე პასებით მოემარაგებინა. მოედნის ცენტრში თამაში პირწმინდად გვქონდა წაგებული და ჰამლეტი მარტო რას გახდებოდა. არადა, ფილიამ სწორედ ის შეცვალა. წივწივაძის პოზიცია გვასალიას ჩაბარდა, მისი კი კალანდაძეს. ამ ტაქტიკურმა სვლამაც უკვალოდ ჩაიარა.

მეორე ტაიმის დასაწყისში იყო, რომ ჩვენებს თითქოს გამოცოცხლება დაეტყოთ. პირველ წუთზევე მახარაძემ ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. მერე კალანდაძესაც შეეძლო ემარჯვა... და — სულ ეს იყო. დანარჩენი დრო სტუმრები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ. ოგნიენოვიჩზე ვთქვით, მართლა მაგარი ყოფილაო, მაგრამ სხვებსაც მასზე არანაკლებ შესძლებიათ თამაში. აჩიმოვიჩმა, პანტელიჩმა, გოიკოვიჩმა ისე გააწამეს კოლხთა დაცვა, ჩვენები შეგებრალებოდათ. იუგები რასაც მოისურვებდნენ, იმას შვრებოდნენ. სწრაფი გადაადგილებებით მოკლე თუ გრძელი გადაცემებით საბოლოოდ გააბრუეს ჩვენები. მედგრად მხოლოდ ქვაჩახია იდგა. არადა, რაღაც 15 წუთში კოლხთა კარში სამი ბურთი გავიდა. გოლკიპერს კი ვერცერთში ვერ დაადანაშაულებდი, სამივე დაცვის უსუსურობის შედეგი იყო.

თამაშის დამთავრებას კარგა ხანი აკლდა, რომ „ფაზისის" ტრიბუნები სანახევროდ დაცარიელდა. ბევრმა ვერ გაუძლო ასეთ სეირს. „კოლხეთი" გუშინ განწირული იყო დასამარცხებლად და წააგო კიდეც. კიდევ კარგი, უფრო სამარცხვინოდ რომ არა.

საპასუხო მატჩს ბელგრადში ჩვენთვის აზრი დაეკარგა. იუგებმა აქ არ დაგვინდეს და იქ რა დღეს გვაყრიან... მოკლედ, მორჩა, „ტორპედო" ინტერტოტოდან გამოვარდა, „კოლხეთი" უეფადან... ესლაა ჩვენი ფეხბურთი...

### მატჩის შემდეგ

პრესკონფერენციაზე კოლხები საერთოდ არ გამოცხადდნენ. ცხადია, სოსო ფილიას საამისო ხასიათი არ ჰქონდა.

*მილორად კოსანოვიჩი,* „ცრვენა ზვეზდას" მწვრთნელი: მატჩით კმაყოფილი ვარ. საშინელი სიცხის კვალობაზე ბიჭები კარგად გაისარჯნენ. ანგარიშიც მიუთითებს, თუ რა დიდი უპირატესობა გვქონდა. მართალი გითხრათ, მოველოდი კიდეც გამარჯვებას. მეტოქეზე კი რა შეიძლება ითქვას? — ვფიქრობ, ნორმალურად ითამაშეს, თუმცა კლასმა მაინც თავისი გაიტანა. მომეწონა თქვენი №9. ჩემი აზრით, კარგი იყო №14-იც. „ცრვენა ზვეზდას" ეს თაობა სულ ერთი წელია, ერთად ვარჯიშობს. გასული სეზონის დასრულებისთანავე კლუბი, იუგოსლავიის ნაკრების ხუთმა წევრმა დატოვა და, ფაქტობრივად, გუნდის შექმნა ხელახლა მოგვიხდა. ეს ამ ბიჭებისთვის, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობისთვის პირველი მატჩი იყო ევროტურნირებზე და დებიუტის კვალობაზე ურიგო არ გახლდათ. რაც შეეხება იმას, თუ ვის შევარჩევდი თქვენი კლუბიდან „ცრვენა ზვეზდასთვის", ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს შევიკავებ. გუნდი უკვე დაკომპლექტებულია, თან ფოთში დასაკვირვებლად კი არა, მეტოქესთან დასაპირისპირებლად ჩამოვედით. მიუხედავად აქ მოპოვებული უპირატესობისა, ბელგრადშიც არ დავზოგავთ თავს. ამ ეტაპზე ჩვენი ახალგაზრდა გუნდისთვის მნიშვნელოვანი გამარჯვება კი არა, გამოცდილების შეძენაა, ასე რომ, ვეცდებით, შინაც ძლიერად ვითამაშოთ.

*პერიცა ოგნიენოვიჩი:* დღეს „ცრვენა ზვეზდას" კაპიტნის რანგში პირველი მატჩი ვითამაშე. გარკვეულწილად ვღელავდი კიდეც, მაგრამ გოლი შევაგდე თუ არა, დავწყნარდი. გატანამ ძალიან გამახარა — მე ხომ ჩვენს გამარჯვებას ჩავუყარე საფუძველი. ჩემი აზრით, კარგად გავისარჯეთ, სხვა თუ არაფერი, ოთხ ბურთს გატანა უნდა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ მომეწონა თქვენგან, ამაზე ვერაფერს გეტყვით, დაკვირვების დრო არ მქონდა. „ცრვენა ზვეზდას" დავტოვებ თუ არა, არც ეს ვიცი. ისე, არ დაგიმალავთ და ძალიან ცხელოდა.

შუაგულ პრესკონფერენციის დროს ოგნიენოვიჩს ჰკითხეს, შევიტყვეთ, რომ „რეალში" გადადიხართ, როგორ ფიქრობთ, დავორ შუკერს თუ შეცვლითო. სანამ პერიცა ყოყმანობდა, მწვრთნელმა თქვა, ესენი განსხვავებული სტილის ფეხბურთელები არიან, მათი შედარება გაუმართლებლად მიმაჩნიაო.

ბოლოს სტუმრებმა კარგი მასპინძლობისთვის ფოთელებს მადლობა მოახსენეს.




0:2-ზე იუგმა ფანებმა მასლაათი გააბეს, ზოგს კიდეც ჩაეძინა

ბადრი კეთილაძის ფოტო

**კოლხეთი**

1. ქვაჩახია
3. ტორჩინავა
4. გიორგაძე
5. გიორგობიანი
11. ქობულაძე
14. ინალიშვილი
6. ღაღანიძე
2. მიქაბერიძე
7. ნოზაძე
9. გვასალია
10. წივწივაძე

**ცრვენა ზვეზდა**

11. ოგნიენოვიჩი
8. პანტელიჩი
10. აჩიმოვიჩი
14. გოიკოვიჩი
7. შკორიჩი
5. პეცელი
3. ბჟეგოვიჩი
16. ივიჩი
6. ბუნიევჩევიჩი
2. დუდიჩი
1. სევრიჩი

შეცვლა: წივწივაძე — 20. კალანდაძე (37), მიქაბერიძე — 8. დ. მახარაძე (46), ოგნიენოვიჩი — 19. მიჩიჩი (61), გოიკოვიჩი — 17. სლოვიჩი (70), ნოზაძე — 16. სუხიაშვილი (74), პეცელი — ვიტაკიჩი (78)

გაფრთხილება: გვასალია

მთავარი მსაჯი: ე. ბლერო (ბელგია)

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. აჩიმოვიჩის დარტყმას ქვაჩახია ეუფლება.
3. ნოზაძესთან ორთაბრძოლისას მეტოქეს ბურთი ხელზე ხვდება. გიორგობიანის დარტყმული ჯარიმა კარს ოდნავ სცდება.
5. პეცელის პასის მერე ოგნიენოვიჩმა მეურვეს გაასწრო და კარის გასწვრივ ჩააწოდა. პანტელიჩის დარტყმა ქვაჩახიამ კუთხურზე გადააგდო. კუთხური გამოიტანეს.
13. წივწივაძე მარცხენა ფლანგზე წააქციეს. ინალიშვილის ჩაწოდებულს მიქაბერიძე მარჯვნივ დაეუფლა, ეფექტურად მოატყუა მეტოქე, მაგრამ კარის გასწვრივ ჩაკიდებული მეკარემ იგდო ხელთ.
17. ოგნიენოვიჩმა ლამაზი კომბინაცია წამოიწყო, მახვილგონივრული პასით გოიკოვიჩი მეკარესთან თითქმის პირისპირ დატოვა. ამის დარტყმული კი ქვაჩახიამ ძლივს მოიგერია.
21. ოგნიენოვიჩის ჩაწოდებული, აჩიმოვიჩის თავური. ქვაჩახია ადგილზეა.
22. გოიკოვიჩის პასით ცარიელი კარის წინ მყოფმა ოგნიენოვიჩმა შეაგდო.
28. ოგნიენოვიჩი საჯარიმოსთან წააქციეს. აჩიმოვიჩის დარტყმული ქვაჩახიამ მეორე ცდით აილო.
30. ოგნიენოვიჩი მარჯვნიდან შეიჭრა, დაარტყა კიდეც. ააცილა.
35. აჩიმოვიჩის მარჯვენაფლანგური გარღვევის შემდეგ ოგნიენოვიჩმა გაისროლა. ბურთი ხარიხას ასცდა.
42. აჩიმოვიჩის დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან დარტყმულს ქვაჩახია იგერიებს.
46. მახარაძე სევრიჩთან მარტო დარჩა. მეკარემ აჯობა.
49. ფოთელთა ლამაზ კომბინაციას კალანდაძე ასრულებდა. მცველი ბოლო მომენტში ჩაუხტა.
53. ტორჩინავა ძალიან უხეშად შეცდა და ოგნიენოვიჩი მეკარესთან პირისპირ გავიდა. დარტყმა ქვაჩახიას ფეხზე მოხვდა.
60. შკორიჩის კუთხურის შემდეგ აჩიმოვიჩმა თავური დარტყმით შეაგდო 0:2.
63. ოგნიენოვიჩმა სამი (!) კოლხი მოატყუა მარჯვენა ფლანგზე და პანტელიჩი მეკარესთან ეულად დატოვა. ბურთი ქვაჩახიას ფეხებშუა გაუძვრა, მაგრამ ცარიელ კარში მიმავალს მცველმა მიუსწრო.
66. იუგთა უსწრაფესი კონტრშეტევა პანტელიჩმა გოლით დააგვირგვინა 0:3.
70. ღაღანიძის ჩაწოდებულ კუთხურს გვასალიამ თავური დაურთო. ბურთი ოდნავ ასცდა „ცრვენა ზვეზდას" კარს.
75. აჩიმოვიჩმა ლამაზი ცრუ მოძრაობებით თავგზა აუბნია ქვაჩახიას და ცარიელ კარში შეაგდო 0:4.
84. გვასალია კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს თავით ვერ შეწვდა და ხელითითამაშა, გააფრთხილეს.
87. აჩიმოვიჩმა დაარტყა. ფოთელთაგან საუკეთესოდ აღიარებულმა ქვაჩახიამ იყოჩაღა.

### უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩები. 22 ივლისი

UEFA CUP

არჯეში (რუმინეთი) — დინამო (აზერბაიჯანი) 5:1
**1:0 ემირბაკანი (3სკ), 2:0 ბარბუ (5), 3:0 ბირდესი (26), 3:1 ალიევი (37პ), 4:1 ბარბუ (82პ), 5:1 ჯილავეანუ (89)**
ბელშინა (ბელარუსი) — ცსკა (ბულგარეთი) 0:0
ომონია (კვიპროსი) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 5:1
**1:0 ჟიტანოვი (40), 2:0 რაუფმანი (43პ), 3:0 ჟიტანოვი (60), 4:0 პანაიოტუ (65), 4:1 ფერგიუსონი (79), 5:1 კონდოლეფტეროსი (88)**
შახტიორი (უკრაინა) — ბირკირკარა (მალტა) 2:1
**1:0 სელეზნიოვი (63), 2:0 კრივენცოვი (70პ), 2:1 ზამიტი (78)**
ინტერი (სლოვაკეთი) — ტირანა (ალბანეთი) 2:0
**1:0 სუჩანჩოკი (14), 2:0 მიკლოში (58)**
ჰაფნარი (ფარერები) — ვაასა (ფინეთი) 2:0
**1:0, 2:0 იოჰანსენი (28, 71)**
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — კილმარნოკი (შოტლანდია) 1:1
**0:1 მასგოლუმი (55), 1:1 ვაზდა (66)**
მურა (სლოვენია) — დაუგავა (ლატვია) 6:1
**1:0 სიფერი (6), 2:0 ლუკიჩი (17), 3:0 სიპოტი (30), 4:0 სიფერი (32), 5:0 გალიჩი (39), 5:1 რიდნი (75), 6:1 ლუკიჩი (88)**
აკრანესი (ისლანდია) — ჟალგირისი (ლიტვა) 3:2
**0:1 სკინდერისი (11), 1:1 ადოლფსონი (42), 2:1 ეიოლფსონი (61), 2:2 ვასილიაუსკასი (72), 3:2 ივშიჩი (86)**
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — ფინპა (ფინეთი) 3:1
**1:0 სიმეტოვიჩი (30პ), 1:1 პაუტალა (45), 2:1 ტუბი (53), 3:1 ტიკვა (64)**
შირაქი (სომხეთი) — მალმიო (შვედეთი) 0:2
**0:1 პავლოვიჩი (55), 0:2 ოლსონი (68)**
ეკერენი (ბელგია) — სარაევო (ბოსნია) 4:1
**1:0 ვან ანკერენი (26), 2:0 მორპაია (29), 3:0 კოვაჩი (41), 3:1 ფერატევიჩი (59) 4:1 მორპაია (90)**
შელბურნი (ირლანდია) — რეინჯერსი (შოტლანდია) 3:5
**1:0 პორინი (7სკ), 2:0 რაზერფორდი (41), 3:0 მორლი (58), 3:1 ალბერტსი (59პ), 3:2 ამატო (74), 3:3 ვან ბრონკჰორსტი (75), 3:4 ამატო (82), 3:5 ალბერტსი (85პ)**
ოცელული (რუმინეთი) — სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) 3:0
**1:0 შტეფანი (30), 2:0 მიჰალაჩე (41), 3:0 მალესი (88პ)**
უნიონი (ლუქსემბურგი) — გიოტებორგი (შვედეთი) 0:3
**0:1 ექსტრიომი (58), 0:2 ნილსონი (63პ), 0:3 ჰერმანსონი (86)**
ფერენცვაროში (უნგრეთი) — პრინჩიპატი (ანდორა) 6:0
**1:0 ფულოპი (25), 2:0 შელემი (42), 3:0 შულცი (48), 4:0 ვამოში (63), 5:0 შულცი (75), 6:0 მატიუში (90)**
ტილიგული (მოლდოვა) — ანდერლეხტი (ბელგია) 0:1
**0:1 სტალენსი (51)**
ნიუთაუნი (უელსი) — ვისლა (პოლონეთი) 0:0
სადამი (ესტონეთი) — პოლონია (პოლონეთი) 0:2

# დედიავ! ვინ იყო ის კაცი?!

ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.
22 ივლისი. თბილისი. ეროვნული. 9 000 მაყურებელი

## დინამო 1:0 ვლაზნია

1:0 ხომერიკი (53)

როგორ უმოწყალოდ გარბის დრო. მიდის, არ ჩერდება და გვიტოვებს უდიდეს ნოსტალგიას. ჩვენ მოუთმენლად ველით ყოველი საფეხბურთო ციებ-ცხელების დაწყებას, ყოველი ივლისი ათასობით ქართველ გულშემატკივარს იმედს უსახავს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ყოველი ევროტურნირი ამ იმედს გვიკლავს. ფეხბურთი უარესობისკენ მიდის. ფეხბურთი სულს ღაფავს.

გუშინ, ეროვნულ სტადიონზე, ცხრა ათასზე მეტი გულშემატკივარი ვერაფრით მოხვდებოდა. უეფას კანონით მეტი მაყურებელი ტრიბუნაზე არ უნდა მჯდარიყო. ქართველებმა პირველად დავიცავით წესრიგი. ბევრი დარჩა ტელევიზორის ამარა, მაგრამ გვერწმუნონ, ბევრიც არაფერი წაუგიათ. ის კი არა, თამაშისთვის სულაც რომ არ ეცქირათ, არაფერი დაშავდებოდა.

„დინამოში“ თაობები იცვლებიან, ბოლო სამ წელიწადში მიგრაციამ ლამის ჩაკლას ქართული ფეხბურთი, მხოლოდ სათამაშო სტილია უცვლელი. ისევ ძუნძულით სიარული მთელი 90 წუთის მანძილზე, ისევ მოთამაშეთა ინდივიდუალურ ოსტატობაზე დამყარებული ტაქტიკა, ისევ აურაცხელი გამოუყენებელი საგოლე მომენტი. ისევ ზერელე, ნაძალადევი ბურთაობა.

ერთხელ, დილმის ბაზაზე ერთ-ერთ მწვრთნელთან, რომელსაც, სხვათა შორის, ურიგო სპეციალისტად არავინ იცნობს და დიდ პატივსაც ვცემ, გვარიანი შელაპარაკება მომიხდა. იმ კაცს რომელიღაც თამაშზე ჩემი რეცენზია არ მოსწონებოდა, ნუთუ ვერაფერი ვერ დაინახე, ამდენი ტაქტიკური მრავალფეროვნება არც ერთ სხვა მატჩში არ გამოგვიყენებიაო.

ის მწვრთნელი გუშინ ეროვნულ სტადიონზე იყო, არც შეიძლებოდა არ ყოფილიყო და მეც მაშინდელივით ვპასუხობ, ვერ დავინახე, ვერც მაშინ და ვერც ახლა. გუშინ „დინამოს“ ტაქტიკა არ ჰქონდა, ფეხბურთელები აკეთებდნენ იმას, რის საშუალებასაც მეტოქე აძლევდათ.

მეტოქე კი იცოცხლეთ, „დინამოს“ ასეთი სუსტი მოწინააღმდეგე ჯერ არ ჰყოლია. „ვლაზნია“ სოფლის გუნდი უფროა, ვიდრე ალბანეთის ჩემპიონი. ჯერ ალბანეთის ნაკრები რა გუნდია და იქაური ჩამკვდარი ჩემპიონატის უპირველესი კლუბი რა იქნება.

სტუმრებმა მთელი თამაშის მანძილზე ერთადერთი კუთხური ჩამოაწოდეს სოლოლაშვილის კართან, შუმახერას ყველაზე ახლოს, ცენტრიდან თუ დაურტყეს, ხოლო მატჩის პირველ ნახევარში ჩვენებურთა საჯარიმოსთან მხოლოდ ბეღურებივით ჭაჭანებდნენ, რომელთაც შუმახერა და ლიბერო ჯელაძე დროდადრო აფრთხობდნენ.

ასეთი სუსტი გუნდია „ვლაზნია“ და მასთან შინ მინიმალური ანგარიშით გამარჯვება სირცხვილის ტოლფასია.

ბევრი იტყვის, რას გადაგვეკიდეთ, მინდორზე ლამის „დინამო 2“ გამოვიდა, ბიჭები გამოუცდელები არიანო. ვინ არის გამოუცდელი, ხომერიკი თუ მუჯირი, აშვეთია თუ ალექსიძე. დიდავას და ცქიტიშვილს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშიათ. კობიაშვილი სულ დაგვავიწყდა, გუჩუას და ჯელაძესაც არ აკლიათ მსგავს მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება.

ზემოთ ჩამოთვლილთა უმეტესობამ გადაუარა პოლონეთის ახალგაზრდულ გუნდს, რუსთავში დააჩოქა იტალია, რომელიც სულ სერია A-ს რჩეული ბიჭებით იყო დაკომპლექტებული, ფრედ ითამაშა პრემიერლიგის დაუმორჩილებელ





რატი ალექსიძე დინამოელთაგან ტრადიციულად საუკეთესო იყო

ახალგაზრდებთან. არა, ჩვენებს გამოცდილება არ აკლიათ. ვერც მათ ახალგაზრდობას მოვიშველიებთ გასამართლებლად, რადგან კანუ და კლუივერტი მათზე გაცილებით ნორჩები რომ იყვნენ, ჩემპიონთა თასს დაეპატრონენ. ბევრზე უმცროსია რონალდო, მას რომ თავი დავანებოთ, რაული, მორიენტესი, ანდაც ოგნიენოვიჩი ვეტერანები არიან თუ? ოუენი გაიხსენეთ, მთლად ბავშვია და ახალგასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საოცრებებს ახდენდა.

ნიჭიერებით ევროპელები ვერ გვჯობიან, უბრალოდ, მათ სწორად ზრდიან, ფეხბურთის სიყვარულს ბავშვობიდან უნერგავენ და გამართულ თამაშსაც ასწავლიან.

და თუ ღმერთი გვწამს, მოვეშვათ უკეთეს პირობებზე წუწუნს. „დინამოს“ არავისზე ნაკლები პირობები არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში, დამაკმაყოფილებელი აშკარად არის.

ერთხელ „დინამოს“ ფეხბურთელმა გვითხრა, რატომ უკვირს ხალხს, მობილური ტელეფონით და უცხოური მარკის ავტომანქანებით რომ დავდივართ, ეს ყველაფერი დრომ და ცივილიზაციამ მოიტანაო.

ღმერთმა ყველაფერი მშვიდობით მოგახმაროთ, იქნებ უფრო მეტიც გეკუთვნით, მაგრამ დალოცვილებო, ცივილიზაციამ და დრომ ჩვენს ფეხბურთში რით ვერ შემოიტანა სწრაფი საფეხბურთო აზროვნება და მაღალი ტემპი. ხომ ცხადია, რომ დამდგარი თუ მხოხავი ვერაფერს მიაღწევ.

ნეტავ რა იქნებოდა, ალბანელებს გამოუსწორებელი შეცდომა რომ არ დაეშვათ და მინდორზე განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელი არ გაეშვათ. ძნელი სათქმელია, მაინც მჯერა, რომ ტირანაში დინამოელები უფრო დიდი უპირატესობით მოიგებდნენ, რადგან მეტოქე საფეხბურთო „ბარბაროსებს“ უფრო მოგვაგონებდა, ვიდრე მაღალი ამბიციების მქონე გუნდს. ალბანელთა თავკაცი ტყუილად ბაქიაობდა, რას ამბობთ, ჩვენი კოზირი ძმობაა, „ვლაზნია“ — საძმო, გოლს აუცილებლად გავიტანთო. ჰუსენ დედიამ, ალბათ, ჩვენებური საძმოების შესახებ არაფერი უწყოდა და ახლა მომხდარიც თავს დააბრალოს.

ალბანელებს თავისი საწუხარი დავუტოვოთ. ტყუილად როდი გაიპარნენ სტადიონიდან. ჩვენ ჩვენსას მივხედოთ, მით უმეტეს, მინიმალური უპირატესობა სტუმართა დაუდევრობის გამო სოლიდურად იქცა. „ვლაზნია“ განმეორებით მატჩში 4:0-ს ვერ მოგვიგებს და მალე ეროვნულ სტადიონზე სახელგანთქმული ფერნანდესი შემოაბიჯებს თავისი „ატლეტიკით“.

კითხვა, რომელიც გვებადება, მარტივია: რატომ ვერ ითამაშა „დინამომ“? მიზეზად ათასგვარი ვარიანტი შეიძლება დასახელდეს, მაგრამ ჩვენ რეალობას გავუსწოროთ თვალი.

ახალ საფეხბურთო სეზონში „დინამო“ პირველ ოფიციალურ მატჩს თამაშობდა და ბუნებრივია, ბიჭები ღელავდნენ.

გუშინ საღამოს ჩახუთული ჰაერი და აუტანელი სიცხე ტანჯავდა ფეხბურთელებს.

„დინამო“ ძალიან გადაღლილი ჩანდა, უფრო მეტიც, მოგვეჩვენა, ზედმეტი დატვირთვებისგან გადამწვარა. ბიჭებს მოძრაობა უჭირდათ, დამძიმებულები იყვნენ და ვერც ალმაფრენას შეატყობდით.

მეკარეზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან შუმახერას, ფაქტობრივად, საქმე არც ჰქონია, დროდადრო მის საჯარიმოს შესულ ჩიტებს აფრთხობდა და თავს იქცევდა.

დაცვაც იგივე დღეში იყო, მაგრამ უცხო თვალიც შეამჩნევდა მათ შეუთამაშებლობას. ფეხბურთს აქ მხოლოდ ერთი — გუჩუა თამაშობდა. ვალტერი ყველგან იყო, ფლანგზე, შუაშიც, ლიბეროობასაც აზერხებდა, საყრდენოობასაც, წინაც იწევდა.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ კობიაშვილის მარცხენა მცველად ჩაკარგვა ნაკლებად ნაყოფიერია. ლევანის ნახევარდაცვის შუაში გამწესება გაცილებით მეტ სარგებელს მოიტანს. „დინამოში“ მასზე უკეთესი საყრდენი ახლა არ მოიძებნება. კვარაცხელია კი ინდომებდა, მაგრამ გუშინ გივი მზად ვერ იყო, ამიტომ ნახევარდაცვას გაუჭირდა, ცქიტიშვილს ძალიან უკან უწევდა ჩასვლა, რათა შეტევები წამოეწყო.

ალექსიძემ ჩვეული ფორმა აღიდგინა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე და ალბანელებს სისხლს უშრობდა.

ყველას გვიკვირდა ჭიჭველიშვილის არყოფნა, თურმე ბიჭი ისევ ბათუმისკენ გაუქანებიათ. იქნებ ბოლო-ბოლო გაგვარკვიონ, ვის ეკუთვნის დათო.

დიდავა თანდათან ეჩვევა მთელი ფლანგის კონტროლს, მაგრამ ესპანელებთან მსგავსად რომ ვერ ინავარდებს, ფაქტია. ეს დაუშრეტელ ენერგიას მოითხოვს.

აშვეთია მართლაც ვერ ყოფილა ფორმაში, მას კარგა ხანი დაჭირდება გონს მოსასვლელად, მაგრამ მინდა ვიკითხო, რატომ არ არის მიხო ფორმაში. არა მგონია, ყველაფერი მარტო ტრავმების ბრალი იყოს.

ისევ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაში, ისევ ადრინდელი სენი. მოუშორებელი შიში. „ვლაზნიასთან“ თავდამსხმელად ხომერიკი გვყავდა, „ატლეტიკთან“, ალბათ, მეკარით და ათი მცველით გავალთ მინდორზე.

ვიცით, იტყვიან, ხომერიკს მუჯირი ეწყვილებოდაო, მაგრამ მუმუ უფრო შემქმნელია, ვიდრე დამგვირგვინებელი. ის ნაცნობი ადგილისკენ იწევდა, რის შედეგად ცქიტიშვილი რჩებოდა უსაქმოდ.

თუნდაც ფორმადაკარგული აშვეთიას გამოჩენამ ალბანელები ისე დააბნია, რომ წამსვე ხომერიკი დაკარგეს და ლევანმაც ერთადერთი შანსი გამოიყენა.

ისიც გაუგებარია, რატომ გამოჩნდა თამაშის მიწურულს სახვაძე. ალექსიძეს მასზე უკეთ ვერავინ გაუგებს, ამ ორს კი თავისი ფლანგის კონტროლი ყველაზე უკეთ შეუძლია. მიშას არც ფიზიკური მომზადება და საფეხბურთო აზროვნება დაეწუნება. კობიაშვილიც თამამად დადგებოდა ცენტრში.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩავთვალოთ, რომ ალბანური ბარიერი გადავლახეთ. წინ „ატლეტიკია“, მერე ან ლიგა, ანაც უეფას თასზე მონაწილეობა. „დინამოს“ მწვრთნელებმა ყველაზე უკეთ უწყიან ბიჭების ავან-ჩავანი. დრო კიდევ გვაქვს და იმედია, პატარა კრიტიკასაც არ გვიწყენენ. თუ გვიწყენენ და ამით ქვეყანა არ დაიქცევა. გუშინდელმა თამაშმა ხომ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ასე შორს ვერ გავფრინდებით.

ნეტა ის კაცი, ის 14 ნომერი მინდორზე რომ არ გამოვარდნილიყო და ჩვენი საქმე არ გამოესწორებინა, რა იქნებოდა?! რა და „ვლაზნიასთან“ მარცხს „დინამოს“ ვერ ვაპატიებდით, გული დაგვწყდებოდა და ჩვენი ფეხბურთის სიყვარული გაგვინელდებოდა, რადგან ძნელია, კაცმა ის შეიყვაროს, რაც, ფაქტობრივად, არ არსებობს.

**მამუკა კვანტალიანი**

**დინამო**

1. სოლოლაშვილი
3. ჯელაძე
4. დიდავა
9. კობიაშვილი
19. გუჩუა
14. ქემოკლიძე
21. კვარაცხელია
10. ცქიტიშვილი
8. ალექსიძე
20. მუჯირი
11. ხომერიკი

**ვლაზნია**

9. სინანი
10. კუნგუ
13. მილოტი
8. ჰიზა
11. კაჩაი
3. ლიჩი
2. ზმიანი
6. ნოგა
5. შაბარი
4. პრენჩი
1. გრიმა

შეცვლა: **მუჯირი — 18. აშვეთია (53), ჰიზა — 16. შლაკუ (62), ქემოკლიძე — 6. ა. სახვაძე (78), ზმიანი — 14. უცნობი (83), მილოტი — 7. ბიზი (90)**

გაძევება: **შლაკუ (69)**
გაფრთხილება: **ჯელაძე**

მთავარი მსაჯი: **კ. ბერტოლინი (შვეიცარია)**

### მატჩის სტენოგრამა

4 წუთი. დავით მუჯირის ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებულს მცველი ნოგა ვერ მისწვდა და ბურთი დიდავას მიუვიდა. მისმა უძლიერესად დარტყმულმა სანტიმეტრებში ჩაუფრინა ძელს.
10. მუჯირმა საჯარიმოში მყოფი რატი ალექსიძე მონახა, ამანაც გაისროლა. გრიმაიმ ბურთი ნახტომში გაჭირვებით მოიგერია.
17. ლევან ცქიტიშვილმა მოედნის სიღრმიდან საუცხოო პასი გაუჭრა საჯარიმოში მყოფ ალექსიძეს, რატიმ უკან მუჯირს მოპირდაპირე ფლანგზე მიაწოდა და მუმუმაც ჩვეულად, ტყვიასავით გაისროლა. ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ გრიმის და კუთხურზე გადავარდა.
23. მუჯირმა კვარაცხელიას კედელი გაუთამაშა და ჩვეული დარტყმაც არ დაახანა, გრიმაი ნახტომში დაეუფლა ბურთს.
26. დიდავა ბურთიანად ორ ალბანელს შორის გაძვრა და საჯარიმოში ჩააწოდა, ნოგა კვლავ ვერ მისწვდა ბურთს და ალექსიძემაც უძლიერესად დაარტყა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა.
37. მუჯირმა ალექსიძეს უპასა, რომლის კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთის კარში გადაგზავნა ხომერიკმა ვარდნაში სცადა, მაგრამ ვერ მიუსწრო.
40. ალექსიძემ ჯარიმიდან ოსტატურად მოჭრილი ცხრიანში გაგზავნა, მაგრამ გრიმამ კვლავ იყოჩაღა.
44. მასპინძელთაგან ერთ-ერთმა გამორჩეულმა ალექსიძემ ცრუ მოძრაობით დააბნია ალბანელი მცველები და ყუმბარისებური დარტყმაც არ დააყოვნა. ბურთმა მეკარისგან მარცხენა კარის ძელს ჩაუქროლა.
47. დაუღალავმა ალექსიძემ სტუმართა საჯარიმოში იბრძოლა, ბურთი დაიმორჩილა და კარის წინ მდგომ ხომერიკს აწვიდიდა, მაგრამ განხრახვა მეკარემ ჩაუშალა.
48. ცქიტიშვილმა და ხომერიკმა კედელი გაითამაშეს, რის შედეგადაც ლევანი კარის წინ მარტო რჩებოდა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა.
53. კობიაშვილმა ბურთი პირდაპირ ხომერიკს დაასვა თავზე და მანაც მთელი თამაშის მანძილზე უშეცდომოდ მოთამაშე სტუმართა მეკარეს შანსი არ დაუტოვა 1:0.
59. მასპინძლებმა ჰიზა ფლანგიდან საჯარიმომდე მიაცილეს, ამანაც დაბალი ჩააწოდა, ბურთი ჯელაძემ აისხლიტა და სოლოლაშვილის საკუთრება გახდა.
64. დიდავას ჩაწოდებულს ალექსიძე თავით გამოეხმაურა, ალბანელმა ნოგამ ბურთი ლამის საკუთარ კარში ჩაჭრა.
69. შლაკუ გაშლილი ფეხით კობიაშვილს ეუხეშა, მსაჯმა დამნაშავე უმალ გასახდელისკენ მიაბრძანა.
82. დაუღალავმა ალექსიძემ ფინტებით მეურვე ჩამოიცილა, საჯარიმოში შესულმა მახვილი კუთხიდან ტყვიასავით გაისროლა, გრიმაიმ აკრობატულ ნახტომში ბურთი უდიდესი გაჭირვებით მოიგერია.
90. კაჩაიმ შორიდან მოინდომა გოლის გატანა, სოლოლაშვილმა მუშტით ხარიხას გადააველო ბურთი.

### ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 22 ივლისი

CHAMPIONS LEAGUE

სელტიკი (შოტლანდია) — სენტ პატრიკი (ირლანდია) 0:0
ობილიჩი (იუგოსლავია) — ვესტმანაეიარი (ისლანდია) 2:0
**1:0 იუსკიჩი (18), 2:0 გროზდიჩი (65)**
ჰიკი (ფინეთი) — ერევანი (სომხეთი) 2:0
**1:0 ვისი (50), 2:0 კუგი (85)**
ლიტექსი (ბულგარეთი) — ჰალმსტადი (შვედეთი) 2:0
**1:0 ბუში (7), 2:0 იურუკოვი (89)**
სტიაუა (რუმინეთი) — ფლორა (ესტონეთი) 4:1
**1:0, 2:0 ჩიოჩიოუ (12, 39), 2:1 ტერენკოვი (40), 3:1 სერბანი (78პ), 4:1 დანჩიოლესკუ (89)**
ლკს (ლოძი, პოლონეთი) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 4:1
**1:0 ცებულა (16), 2:0, 3:0 ტრჟეციაკი (50პ, 76პ), 4:0 ვიზჩისკი (73), 4:1 სულეიმანოვი (83)**
კარედა (ლიტვა) — მარიბორი (სლოვენია) 0:3
ლა ვალეტა (მალტა) — ანართოსისი (კვიპროსი) 0:2
**0:1 პალაშკევა (52), 0:2 ოკასი (80)**
ზიმბრუ (მოლდოვა) — უიპეშტი (უნგრეთი) 1:0
**1:0 კულიკი (103)**
გრასჰოპერი (შვეიცარია) — ჟენესი (ლუქსემბურგი) 6:0
**1:0 ნკუფო (6), 2:0 ყაველაშვილი (29), 3:0 კაბანასი (41), 4:0 ნკუფო (55), 5:0 ტიკვა (65), 6:0 მაგნინი (90)**
დინამო (უკრაინა) — ბარი თაუნი (უელსი) 8:0
**1:0, 2:0 რებროვი (9, 16), 3:0 შევჩენკო (33), 4:0 რებროვი (37), 5:0 გერასიმენკო (48), 6:0 შევჩენკო (59), 7:0 ბელკევიჩი (65), 8:0 რებროვი (82)**
სილექსი (მაკედონია) — ბრიუგე (ბელგია) 0:0
ბეითარი (ისრაელი) — ტორსჰაგენი (ფარერები) 4:1
**1:0 შიტრიტი (2), 2:0, 3:0 სალოი (9, 45), 3:1 პეტერსენი (73პ), 4:1 სალოი (78)**
კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) — კოშიცე (სლოვაკეთი) 1:5
**0:1, 0:2 ზვარა (22, 29), 0:3 ნემეტი (35), 1:3 ფლინი (45), 1:4 ლიუბარსკი (59), 1:5 პროპაზკა (71)**
სკონტო (ლატვია) — დინამო (ბელარუსი) 0:0

# ტალღა და დაშლა-არდაშლა

## მართლა მტრობენ ტორპედოს?

ამ უქმეებზე იყო, „ტორპედომ" პრესკონფერენცია რომ გამართა. „ლომელთან" მარცხზე იმდენი და ისე მწვავედ დაიწერა, ქუთაისელთა თავკაცობამ საკუთარი აზრის უთქმელობა ვერ დაითმინა.

თქვეს და, როგორც ჩვენში სჩვევიათ, კრიტიკას არასწორად შეეგებნენ. ამიტომაც დღეს, უკვე თბილისსა და ფოთში ნამატჩევს, „ტორპედოს" ერთხელაც გავიხსენებთ.

კლუბის პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ თქვა: ანტვერპენში გუნდი არავის დაუტუსაღებია, კი იყო პატარა გაუგებრობა, მოვიდა პოლიცია, მაგრამ ყველაფერი 4-5 საათში მოგვარდაო.

პოლიციის ფხიზელ თვალს აბა ვინ დაემალება, თანაც, ეტყობა, „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი" ბელგიელთათვისაც ნაცნობი რამაა.

ჰო, მცირედი გაუგებრობისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ასეთი რამ 4-5 წუთში თუ არა ნახევარ საათში მაინც ირკვევა. 4-5 საათი კი...

ჯიქიამ ესეც განაცხადა: ქუთაისში „ლომელთან" მატჩის შემდეგ აგორებული ტალღა გუნდის დაშლის მორიგი მცდელობააო. ამას კი ეს მოაყოლა „ჯანაშიას 4-5 კლუბიდან აქვს მიწვევა. მე არ შემიძლია ვუთხრა, არ წახვიდე, მით უმეტეს, სამ თვეში „ტორპედოსთან" კონტრაქტი უმთავრდება. ვერც კვეტენაძეს ვეტყვი, გინდა თუ არა, დარჩი. ჯერ არ ვართ ასე აწყობილი. 18-19 წლის ბიჭები მიდიან ევროპაში სათამაშოდ, იმაზე არ ატეხილა ამხელა ამბავი და აქ რა ხდება? ჯანაშიას და კვეტენაძის გარდა, შესაძლოა, ვაშაკიძე, მეტრეველი და მეგრელაძეც წავიდნენ. გუნდში ხვადაგიანი ბრუნდება. ხალხის დამატება დაგვჭირდება. ვინ უნდა მოვიყვანოთ, ვიფიქრებთ".

რომელ ტალღაზეაა ლაპარაკი. რა დაშლის მცდელობაზე, როცა გუნდს ნებსით თუ უნებლიედ თავად „ტორპედოს" თავკაცობა შლის. ძირითადის 4-5 წამყვანი ფეხბურთელის წასვლა სწორედ რომ დაშლის ტოლფასია, მითუფრო, რომ ახალწვეულებზე აწილა უნდა იფიქრონ.

დაშლაცაა და დაშლაც, გააჩნია მასში რას ვიგულისხმებთ. გუნდის მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ, მე თუ არ ვიქნები, სხვა იქნება და ის იმუშავებს. „ტორპედო" მთლად უპატრონოდ იყო და მაშინ არ დაშლიალაო. ჩვენც მანდა ვართ, ქუთაისში ისეთი გუნდი ყოველთვის მოიკრიბება, პირველ ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად საკმარისი ქულები რომ მოაგროვოს. მაგრამ, განა, ეს ქუთაისის საკადრისი საქმე იქნება?

ფრუიძემ ესეც თქვა: ზერელედ საუბარი არ შეიძლება. მატჩს არ დასწრებიხარ და თამაშს არჩევ... „ლომელმა" კლასით და გამოცდილებით გვაჯობა, თორემ თამაშით წასაგები რა გვქონდა, ფრუიძემ შეცვლები დააგვიანაო. დავიჯერო ჟურნალისტმა უკეთ იცის, ვინ და როდის უნდა შეცვალოსო.

ხდება ხოლმე — მწვრთნელებს ფეხბურთელთა ამოჩემება სჩვევიათ. ხოლო იმის მიხვედრას, რომ 5-6 თვის მანძილზე მხოლოდ 23 წუთს ნათამაშევი ფეხბურთელი საწვალებლად არ უნდა გაწირო, არც დიდი მწვრთნელობა სჭირდება და არც ჟურნალისტობა.

ესეც ბოტონი სოსოს ნათქვამია: „ფრუიძეს გულშემატკივარი ამხედრებული ჰყავსო. ვინ არის ამხედრებული, თერთმეტი წლის ბიჭებს პლაკატს რომ დააჭერინებენ ხელში, ანდა ფრუიძემ ყველა პრინციპული თამაში წააგო? განა მეორე წრეში ყველა მატჩი პრინციპული არ იყო, იგივე „ბათუმთან", „კოლხეთთან", „ოდიშთან"?

ამათგან „ტორპედომ" მხოლოდ „ბათუმს" მოუგო და მიუხედავად იმისა, რომ მე როგორც ამ მატჩის თვითმხილველს არაერთისგან ჩამეწვეთა, ეს მატჩი გარიგებულიაო, ორივე გუნდი კარგი თამაშისთვის ვაქე. ფოთსა და ზუგდიდში კი „ტორპედოს" არ წაუგია, მაგრამ ორივეგან ფრე წაგების ტოლფასი იყო. და განა ბოლნისური მატჩი, „ტორპედომ" 3:4 რომ წააგო, პრინციპული მატჩი არ იყო?

„ლომელმა" კლასით მოგვიგო, თამაშით წასაგები რა გვქონდა. მანამდე იღბალიო. ლომელი უკლასო იყოო, ტყუილია, მაგრამ არა დაუძლეველი. უიღბლობა კი ძალიან პირობითი რამაა და 20-დან ერთ საგოლე მომენტსაც რომ ვერ გამოიყენებ ეს აღარც მხოლოდ უიღბლობაა და არც უკლასობა, რადგან ამდენ მომენტს რომ ქმნი ეს უკვე კლასის მაჩვენებელია.

ერთხელ იყო, „ტორპედო" ცუდ დღეში მყოფ „ეგრისს" მასპინძლობდა. მაშინ ქუთაისელებს ახლანდელზე არანაკლები გუნდი და თანაც მრისხანე აშვეთია ჰყავდა. ურიგო გუნდი არც „ეგრისი" იყო, მაგრამ ქუთაისს ოდენ პურ-ხახვნაჭამი ეწვია. და მაშინდელ მწვრთნელ რევაზ ბურკაძეს თხოვა, ეგებ, ოდენ ერთბურთიანი სხვაობით მოგვიგოთო.

„ტორპედოს" ერთით შეუძლია დაიკვეხნოს: შეგნებულად შინაურ მატჩში არასდროს და არავისთვის უშელავათია. ბურკაძეც ერთი-ორჯერ შესცოდავდა, მაგრამ ამ მხრივ გასვლებზეც პრინციპული იყო. უარით და... ქულით გაისტუმრეს სენაკელები. პირველ ტაიმში „ტორპედო" 2:0 იგებდა და 20 წუთში მეკარემ ორი უპატიებელი შეცდომა დაუშვა. დასახლდნენ ქუთაისელები ეგრისელთა საჯარიმოში, მაგრამ ველარ გაიტანეს, ველარც შეცვლაზე შესული აშვეთიას მარჯვე ფეხმა უშველათ და კონტრშეტევაზე კინაღამ მესამედაც დაისაჯნენ.

ასე დაემართა „ტორპედოს" ახლაც. არა, „ლომელს" შეწყალება არ უთხოვია, მაგრამ ქუთაისელები, მეოთხე წუთზე, ორი მატჩის ჯამში, უკვე 2:0 რომ იგებდნენ, წამიერად მოეშვნენ, დაცვაში შესცოდეს, მეკარემაც ჩაიძინა და...

გრიგოლ ჭანტურია ცალკე თემაა. რაც ჭანტურიამ „ვარდართან" ბათუმურ მატჩში მოიმოქმედა, რაც ამ გაზაფხულს „დინამოსთან" სათასო მატჩისას დაემართა, მას შემდეგ, გამოგიტყდებით, მე რომ მწვრთნელი ვყოფილიყავი, არ მივიწვევდი (იქნებ, მიტომაც არ ვარ მწვრთნელი). თანაც, „ტორპედო" ინტერტოტოზე მამარდაშვილისა და მეტადრე ასლანაძის გარჯამ გაიყვანა და თუ კაცი მათ შემცვლელს მოიძიება, ცხადია, უკეთესი უნდა ყოფილიყო.

ჭანტურიამ პირველი სამი მატჩი ძლიერად ითამაშა, მაგრამ „ლომელთან", გოლებსა რომ არ ვთქვათ, ისედაც არაერთხელ შეცდა. გრიგოლი ორივე ჩვენს მეკარეს კლასით სჯობსო, „ერებუნისთან" მატჩის შემდეგ თქვა სოსო ფრუიძემ. „ლომელამდე" ამაზე მართლაც დაფიქრდებოდა კაცი. მაგრამ ძნელი საფიქრებელია, ასლანაძე, განაცხადშიც რომ არ იყო შეყვანილი, მეორე გოლისას თავდამსხმელთან საბრძოლად საკუარ ბაქანში ზურგით გამოსულიყო და არა მუხლით.

განა, ჯანაშია? ფრუიძე გულდაწყვეტილია, რომ ამბობენ დათო „სამტრედიაში" ხურცილავამ აათამაშაო, წელს რომ დიდებულად თამაშობს, ჩემი დამსახურება რატომ ავიწყდებათო. ვინც ჯანაშიას ახლოს იცნობს, ფეხბურთის მისეულ ცოდნა-გაგებისაც იცის, მიხვდება, მას მწვრთნელზე მეტად ფსიქოლოგი სჭირდება, სათამაშოდ რომ განაწყოს და მერე სამოქმედო არე არ შეუზღუდოს, სივრცე შეუქმნას. ფრუიძის ხელში დათო მართლაც ძლიერად და სამტრედიულ სეზონზე ბევრად უკეთ ათამაშდა, მაგრამ მას რომ ნახევარდაცვაში კი არა თავდასხმაში ემოქმედა, „ტორპედოს" მეტ სარგებელსაც მოუტანდა.

ვის ვის და ზუსტი დარტყმა, თუ მეკარის გვერდის ავლა ჯანაშიას ეხერხება, ამაში მას მეტრეველი და მეგრელაძე კარგა ხანს ვერ გაეჯიბრებიან. ჯანოს კი ხშირად ნახევარი მოედნის გადარბენა, გზად მცველთა ჩამოცილება და პასის გაკეთება ევალებოდა. თავდამსხმელები კი გარჯას ხშირად წყალში უყრიდნენ.

ლაპარაკი უმიზეზოდ დაწუნებულ თურმანიძეც შეიძლება, მასსავით დაჩაგრულ ჩხეტიანზეც. ერთადერთ დასკვნას გამოიტან ყოველივე აქედან კაცი, თავად ფრუიძე თუ არა, კლუბის თავკაცობა მაინც, ინტერტოტოზე თამაშს უფრო კომერციულ დატვირთვას აძლევდა. ისეთებს უნდა ეთამაშათ, ვისაც გასაყიდად თვალს დაადგამდნენ. ამას ხუჯაძის არცთუ ძლიერი თამაში, მაგრამ ძირითადში დაჟინებით დაყენებაც გაფიქრებინებს კაცს.

დასასრულ ერთიც, სოსო ფრუიძე უაღრესად შრომისმოყვარე წესიერი კაცია, მაგრამ ვერ გეტყვით სიტუაციას ბოლომდე ვერ აკონტროლებს თუ რა, ჩემი აზრით ხშირად უხეშად ცდება.

ჩვენ კი, ჟურნალისტებს, მათ შორის „სარბიელისას", არც „ტორპედოსი", არც სხვა გუნდის დაშლა განგვიზრახავს. ჩვენ არც „ტორპედოსი" და არც ქართული ფეხბურთის მტრები (ვაი, რომ ამის თქმა გვიხდება!) ვართ. რითაც შეგვეძლო (არც ისე ცოტა შეგვიძლია), „ტორპედოს" კიდეც შევეწიეთ (ალალი იყოს!), მაგრამ ახლა ეს აღარავის ახსოვს და ასეთი უმადურობაც არ შეიძლება...

**ვახტანგ ბზიკაძე**

ლეგიონი გოჩა ჯამარაული ჯერ ისევ უგუნდოდაა

# ჯამარასაც სიტი ელოდა, ოღონდ...

წუხელ ლონდონიდან ჩამოფრინდა თურქული „ტრაბზონსპორის" ყოფილი და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული.

ქართველი ფეხბურთელის ინგლისური ვოიაჟი, წესით, კონტრაქტის გაფორმებით უნდა დამთავრებულიყო. გოჩას გუშინწინ გადაწყვეტილიც ჰქონდა სახელშეკრულებო ფურცელზე საკუთარი ფაქსიმილეს დასმა, მაგრამ მისმა მსურველმა პირველი დივიზიონის კლუბმა „ბრისტოლ სიტიმ" ბოლო მომენტში ფეხბურთელს სიურპრიზი შესთავაზა.

ინგლისელებს კონტრაქტის პროექტში ისეთი მუხლი ჩაუდევთ, რომ ჯამარაულის შეძენას თუ ვინმე მოისურვებდა, 2 მილიონი უნდა გადაეხადა. გოჩამაც „ბრისტოლთან" დაკავშირება ამიტომ იუარა.

ჯამარაული გუშინ ჰოლანდიაში უნდა გადაფრენილიყო, მაგრამ ბილეთი გადაცვალა და შინისკენ გამოეშურა. ნიდერლანდებში გოჩას ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში გასინჯვა ელოდა, მაგრამ, რატომღაც თბილისში დაბრუნება ამჯობინა. ეტყობა, ჯამარას სხვა უფრო ნაღდი ვარიანტიც გამოუჩნდა, თორემ ერთ-ერთ ჰოლანდიურ გრანდში მოხვედრაზე, თუნდაც გასინჯვა დაგჭირდეს, ძნელი საფიქრებელია, უარი ეთქვა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

ფედერაცია წლევანდელი სუპერფინალიც ზღვისპირეთშია

# სუპერთასიც ბათუმში

როგორც ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა საქართველოს სუპერთასის გათამაშება, რომელსაც ყოველწლიურად ფედერაცია გაზეთ „რეზონანსთან" ერთად ატარებს, ბათუმში 2 აგვისტოს ჩატარდება. ერთმანეთს მეცხრე ჩემპიონატის გამარჯვებული „დინამო" და თასის მფლობელი „ბათუმი" შეხვდებიან. შეგახსენებთ, ეს გუნდები ადრეც გაჯიბრებიან ერთმანეთს სუპერთასისთვის. პირველად ბათუმში დინამომ 4:0 იმარჯვა, ხოლო შარშან ქუთაისშიც გაანადგურეს ბათუმელები 4:1.

ვნახოთ, სუპერთასის წლევანდელ მატჩს ხომ „ბათუმი" უკვე საქართველოს თასის მფლობელის რანგში ითამაშებს.

**კობა ინასარიძე**

მეტალურგი რუსთაველები ისევ გაურკვევლობაში არიან

# მეტალურგს ჩრდილი დადგომია

რუსთავის „მეტალურგზე" ცნობებს ხშირად გაწვდიდით, ბოლო ინფორმაცია კი ასეთია: გუნდში საკმაოდ საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი. როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, ადვილი შესაძლებელია, კლუბმა ახლახან ფინანსური კრიზისიდან თავდაღწეულ უნივერსიტეტელთა ბედი გაიზიაროს, მაგრამ თსუ-სგან განსხვავებით „მეტალურგს" მშველელი ჯერჯერობით არ გამოუჩნდა. გუნდის მესვეურები ცდილობენ მდგომარეობიდან გამოსვლას, მათ ძირითადად ქალაქის ბიუჯეტის იმედი აქვთ. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „მეტალურგმა" სამჯერ მოახერხა სპონსორთა დაინტერესება, მაგრამ დაბალი შედეგიანობის გამო ვერც ერთხელ ვერ შეძლო მეცენატთა შენარჩუნება. პრობლემის მოგვარება წარმატებული სატრანსფერო ოპერაციის გატარების შედეგადაც შეიძლებოდა, მაგრამ ამაზე გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, რომ საამისოდ „მეტალურგს" მაღალი კლასის ფეხბურთელი არ ჰყავს.

ასეა თუ ისე, „მეტალურგი" შველას ითხოვს, ჩემპიონატის დაწყებამდე ხომ სულ რაღაც ორი კვირაა დარჩენილი. ქალაქისა და გუნდის ხელმძღვანელობას მეტი მონდომება მართებს, რათა რაგბის მსგავსად რუსთაულ ფეხბურთსაც ჩრდილი არ მიადგეს. „მეტალურგი" სჭირდება ქართულ ფეხბურთს.

**პაატა ქვანტალიანი**

## საქართველოს X ჩემპიონატის კალენდარი. I ჯგუფი. I წრე

| | |
|---|---|
| ასკ *თბილისი* | კოლხეთი *ფოთი* |
| ბათუმი | ლოკომოტივი *თბილისი* |
| გურია *ლანჩხუთი* | მერანი *თბილისი* |
| დილა *გორი* | მეტალურგი *რუსთავი* |
| დინამო *თბილისი* | ოდიში *ზუგდიდი* |
| ვიტ ჯორჯია *თბილისი* | სამგურალი *წყალტუბო* |
| თსუ *თბილისი* | სიონი *ბოლნისი* |
| იბერია *სამტრედია* | ტორპედო *ქუთაისი* |

I ტური

**6 აგვისტო. ხუთშაბათი**
დინამო — ასკ
კოლხეთი — ლოკომოტივი

**7 აგვისტო. პარასკევი**
მერანი — სამგურალი
ბათუმი — ვიტ ჯორჯია

**8 აგვისტო. შაბათი**
სიონი — გურია
თსუ — ტორპედო
ოდიში — იბერია
მეტალურგი — დილა

II ტური

**14 აგვისტო. პარასკევი**
ასკ — ვიტ ჯორჯია

**15 აგვისტო. შაბათი**
ტორპედო — კოლხეთი
გურია — თსუ
დილა — სიონი
სამგურალი — მეტალურგი
დინამო — მერანი

**16 აგვისტო. კვირა**
ლოკომოტივი — ოდიში
იბერია — ბათუმი

III ტური

**21 აგვისტო. პარასკევი**
მერანი — ასკ

**22 აგვისტო. შაბათი**
მეტალურგი — დინამო
სიონი — სამგურალი
კოლხეთი — გურია
ოდიში — ტორპედო
ბათუმი — ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია — იბერია

**23 აგვისტო. კვირა**
თსუ — დილა

IV ტური

**28 აგვისტო. პარასკევი**
ასკ — იბერია

**29 აგვისტო. შაბათი**
გურია — ოდიში
დილა — კოლხეთი
მერანი — მეტალურგი
სამგურალი — თსუ

**30 აგვისტო. კვირა**
ტორპედო — ბათუმი
დინამო — სიონი

**31 აგვისტო. ორშაბათი**
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

V ტური

**8 სექტემბერი. სამშაბათი**
მეტალურგი — ასკ
სიონი — მერანი
თსუ — დინამო
კოლხეთი — სამგურალი
ოდიში — დილა
ბათუმი — გურია
იბერია — ლოკომოტივი

**9 სექტემბერი. ოთხშაბათი**
ვიტ ჯორჯია — ტორპედო

VI ტური

**12 სექტემბერი. შაბათი**
დილა — ბათუმი
სამგურალი — ოდიში
დინამო — კოლხეთი
მეტალურგი — სიონი

**13 სექტემბერი. კვირა**
ტორპედო — იბერია
გურია — ვიტ ჯორჯია
მერანი — თსუ

**14 სექტემბერი. ორშაბათი**
ასკ — ლოკომოტივი

VII ტური

**19 სექტემბერი. შაბათი**
სიონი — ასკ
კოლხეთი — მერანი
ვიტ ჯორჯია — დილა
იბერია — გურია

**20 სექტემბერი. კვირა**
ოდიში — დინამო
ლოკომოტივი — ტორპედო

**21 სექტემბერი. ორშაბათი**
თსუ — მეტალურგი
ბათუმი — სამგურალი

VIII ტური

**25 სექტემბერი. პარასკევი**
დინამო — ბათუმი

**26 სექტემბერი. შაბათი**
გურია — ლოკომოტივი
დილა — იბერია
სამგურალი — ვიტ ჯორჯია
მერანი — ოდიში
მეტალურგი — კოლხეთი
სიონი — თსუ

**27 სექტემბერი. კვირა**
ასკ — ტორპედო

IX ტური

**2 ოქტომბერი. პარასკევი**
თსუ — ასკ

**3 ოქტომბერი. შაბათი**
კოლხეთი — სიონი
ოდიში — მეტალურგი
ბათუმი — მერანი
ვიტ ჯორჯია — დინამო
იბერია — სამგურალი
ტორპედო — გურია

**4 ოქტომბერი. კვირა**
ლოკომოტივი — დილა

X ტური

**17 ოქტომბერი. შაბათი**
დილა — ტორპედო
სამგურალი — ლოკომოტივი
დინამო — იბერია
მეტალურგი — ბათუმი
სიონი — ოდიში
თსუ — კოლხეთი

**18 ოქტომბერი. კვირა**
მერანი — ვიტ ჯორჯია

**19 ოქტომბერი. ორშაბათი**
ასკ — გურია

XI ტური

**24 ოქტომბერი. შაბათი**
კოლხეთი — ასკ
ოდიში — თსუ
იბერია — მერანი
ლოკომოტივი — დინამო
ტორპედო — სამგურალი
გურია — დილა

**25 ოქტომბერი. კვირა**
ბათუმი — სიონი
ვიტ ჯორჯია — მეტალურგი

XII ტური

**31 ოქტომბერი. შაბათი**
სამგურალი — გურია
დინამო — ტორპედო
მეტალურგი — იბერია
სიონი — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი — ოდიში

**1 ნოემბერი. კვირა**
თსუ — ბათუმი

**2 ნოემბერი. ორშაბათი**
მერანი — ლოკომოტივი

**3 ნოემბერი. სამშაბათი**
ასკ — დილა

XIII ტური

**6 ნოემბერი. პარასკევი**
ვიტ ჯორჯია — თსუ

**7 ნოემბერი. შაბათი**
ოდიში — ასკ
ბათუმი — კოლხეთი
იბერია — სიონი
ლოკომოტივი — მეტალურგი
ტორპედო — მერანი
გურია — დინამო
დილა — სამგურალი

XIV ტური

**14 ნოემბერი. შაბათი**
ასკ — სამგურალი

**15 ნოემბერი. კვირა**
დინამო — დილა
ოდიში — ბათუმი
მეტალურგი — ტორპედო
სიონი — ლოკომოტივი
თსუ — იბერია
კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

**16 ნოემბერი. ორშაბათი**
მერანი — გურია

XV ტური

**21 ნოემბერი. შაბათი**
ვიტ ჯორჯია —ოდიში

**22 ნოემბერი. კვირა**
ბათუმი — ასკ
იბერია — კოლხეთი
ლოკომოტივი — თსუ
ტორპედო — სიონი
გურია — მეტალურგი
დილა — მერანი
სამგურალი — დინამო

ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენს ფეხბურთელებს გერმანულ გუნდებთან თამაში უჭირთ. ასე იყო იმთავითვე ჩვენი ზეობის პერიოდში, როდესაც თითქმის ნახევარი „დინამო" ევროპული დონის ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული და რა გასაკვირია, რომ ეს უსიამოვნო ტრადიცია დღესაც გრძელდება, როდესაც ვერც ნაკრები და ვერც „დინამო" საერთაშორისო ასპარეზზე ვერ ბრწყინავენ. გვამარცხებდნენ და გვამარცხებენ ძლიერი და არცთუ ისე ძლიერი გუნდები, მაგრამ ალბათ საკამათო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იმ გერმანულ კლუბებს შორის, რომლებიც თბილისში გვინახავს, ყველაზე გამორჩეული და იქნებ ყველაზე ძლიერიც „ჰამბურგი" იყო, რომლის სახელი მაშინ მთელს ევროპაში ქუხდა. იმ გუნდის ჩინებული მოთამაშეები კიდევ კარგა ხანს შემორჩებიან ჩვენს მეხსიერებას. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული „ჰამბურგის" გოლკიპერი, ᲙᲚᲐᲣᲡ ᲙᲐᲠᲒᲣᲡᲘ გახლდათ. ბრმა შემთხვევამ კლაუს კარგუსთან უკრაინის დედაქალაქში, კიევში შეგვახვედრა. რომ არ ეთქვათ, გაგვიძნელდებოდა მისი ცნობა, მაგრამ როდესაც გავიგეთ, ვინ იყო ეს ღაჟღაჟა კაცი, ბუნებრივია, მასთან გასაუბრების სურვილი აღგვეძრა. სტუმართმოყვარე უკრაინელი კოლეგების დახმარებით და საუბარი შედგა. თარჯიმნობას ყოველკვირეული ჟურნალის „უკრაინსკი ფუტბოლის" მიმომხილველი, ლეონიდ გრიბი გვიწევდა. გაიგო თუ არა კარგუსმა, რომ თბილისიდან, ანუ „დინამოს" ქალაქიდან ვიყავით, მარჯვენა ხელის ცერა თითი აღმართა და ხმამაღლა წამოიძახა „აუსგეცაიხნეტ" (ბრწყინვალე), რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ „დინამო" და მასთან ჩატარებული ორრაუნდიანი ორთაბრძოლაც ბრწყინვალედ ახსოვდა. როგორც შემდეგ გაირკვა, კრაგუსის აუსგეცაიხნეტი შემთხვევითი სრულიადაც არ ყოფილა. როხროხა გერმანელი ძალიან ემოციური, ენაწყლიანი და მხიარული მოსაუბრე აღმოჩნდა.

# მომიკითხეთ კაპიანი და სხვები

**— საუბრის დასაწყისი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი „დინამო" კარგად უნდა გახსოვდეთ.**

— მაშ როგორ! ჩვენ ხომ საგანგებოდ ვემზადებოდით იმ მატჩისთვის. პრინციპში პროფესიონალი ყველა მატჩისთვის საგანგებოდ უნდა ემზადებოდეს, მაგრამ თქვენი გუნდი მაინც სხვა იყო. როგორი საქმეა „ლივერპულის" 3:0 დამარცხება, თანაც წვიმიან ამინდში! ჩვენ მაშინ მოვახერხეთ იმ მატჩის ჩანაწერის შოვნა და ყველა დეტალი გულდაგულ შევისწავლეთ. არ გვეშინოდა, მაგრამ ფრთხილად კი ვიყავით.

**— როგორც პირველი, გერმანიაში ჩატარებული თამაშის დასაწყისმა დაგვანახა, ეს სიფრთხილე შემთხვევითი სულაც არ გახლდათ.**

— ნამდვილად. ბურთი რომ გავუშვით, მთელ გუნდს, მირითადებსაც და სათადარიგოებსაც სუნთქვა შეგვეკრა. მეგონა ვილუპებოდით. მადლობა ღმერთს, რომ მოვნახეთ ძალები და გარდატეხაც მოვახდინეთ. თუმცა, მიუხედავად საკმაოდ შთამბეჭდავი ანგარიშისა, ჩვენი თამაში მაინც უარყოფითად შეფასდა. განსაკუთრებით დაცვაში. „დინამოს" სახიფათო თავდამსხმელები მცველებს ხშირად უსხლტებოდნენ და ჩემს კართან ხიფათი იქმნებოდა.

**— ამას მოყვა მეორე, არანაკლებ რთული მატჩი.**

— რთული და თანაც როგორი! უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაძაბული. საბჭოთა კავშირში გამომგზავრებამდე ჩვენ გვაფრთხილებდნენ, რომ შესაძლო იყო თქვენებს მოსაგებად არც თუ სუფთა, არასაფეხბურთო ხერხებისთვის მიემართათ. ზოგიერთების აზრით, შანტაჟიც კი არ იყო გამორიცხული. ხომ იცით, რა დრო იყო. მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩვენ ჩინებულად დაგვხვდნენ და ღირსეული მასპინძლობაც გაგვიწიეს.

კარგად გვესმოდა, რომ თქვენები შეხვედრის დასაწყისშივე შემოგვიტევდნენ და ამისთვის ვემზადებოდით. მთავარი იყო პირველ წუთებზე არ გაგვეშვა ბურთი, ხოლო თუ გატანასაც მოვახერხებდით, მაშინ ხომ თამაში პრაქტიკულად მოგებული გვექნებოდა. სამწუხაროდ, ყველაფერი სხვაგვარად დაიწყო. უძლიერესმა შტურმმა საკუთარ კარს მიგვაჯაჭვა და გოლიც გავუშვით, თუმცა მიუხედავად დიდი სირთულეებისა, მატჩის ჩვენთვის სასარგებლოდ დასრულება მაინც შევძელით.

ეს შეხვედრა ცხადად იმიტომაც დამამახსოვრდა, რომ იგი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ვხედავდი და მიხაროდა, რომ ტრიბუნებიც აფასებდნენ ჩვენს გარჯას. თქვენი მაყურებელი მართლაც კარგად იყო გათვითცნობიერებული ფეხბურთის ნიუანსებში.

**— ქართველი მოთამაშეებიდან ვინ მოგეწონათ?**

— ძალიან მომეწონა კაპიანი (კარგუსს, მართალია დამახინჯებულად, მაგრამ მაინც ახსოვდა ყიფიანის გვარი). აგრეთვე ფეხბურთელი, რომელმაც თბილისში პირველი ბურთი გაგვიტანა (გუცაევი) და რა თქმა უნდა, თქვენი კაპიტანი (მაჩაიძე). თქვენს კაპიტანს ერთი-ორი ისეთი ბურთი ავული, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა კიდეც. როდესაც მას თვალებში შევხედე, იქაც იგივე გრძნობა ამოვიკითხე. წესით, მაღალ შორეულ კუთხეში ასეთი ძალით დარტყმული ბურთი ვერ უნდა მომეგერიებინა, მაგრამ იმ დღეს იღბალიც ჩვენს მხარეს იყო.

**— ნუთუ მხოლოდ იღბალმა განაპირობა თქვენი გამარჯვება?**

— არა, რა თქმა უნდა. თქვენი „დინამო" მართლაც ძალიან ძლიერი იყო და ამას კომპლიმენტად არ გეუბნებით, მაგრამ ნუ მიწყენთ და ჩვენ ალბათ უფრო ძლიერები ვიყავით. კალცი, ჰრუბეში, კიგანი და სხვებიც უმაღლესი კლასის მოთამაშეები იყვნენ. ამიტომაც გავიმარჯვეთ.

**— კარიერის დასრულების შემდეგ რა გზას ეწიეთ?**

— ფეხბურთთან განშორება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ აუცილებლობამ ეს ნაბიჯი მაინც გადამადგმევინა. რამდენიმე წელიწადი სხვადასხვა გუნდებში ვმუშაობდი მეკარეთა მწვრთნელად, ფინანსურ საკითხებსაც განვაგებდი, ბოლოს კი ბიზნესს მივყავი ხელი. კიევშიც სწორედ ამიტომ ვარ. უკრაინელ პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთობა მაქვს და ხშირად მიწევს აქ ჩამოსვლა.

**— ახლახანს მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდა და არ შემიძლია, არ გკითხოთ აზრი გერმანიის ნაკრების ჩავარდნის შესახებ.**

— ჩემთვის ძალიან მტკივნეულ საკითხს შეეხეთ. ახლა ბევრი ამბობს, გერმანია უმცირესობაში რომ არ დარჩენილიყო, შეძლებდა ხორვატიის დამარცხებასო. იცით, ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. გერმანიის მარცხი სრულიად კანონზომიერად მიმაჩნია. განა დიდი მნიშვნელობა აქვს მეოთხედფინალში გამოვეთიშებით ასპარეზობას, თუ ნახევარფინალში? ყოველთვის ითვლებოდა, რომ გერმანიის ნაკრები უაღრესად ბრძოლისუნარიანი გუნდი იყო, მაგრამ განა შეიძლებოდა იმის ფიქრი, რომ ფონს მხოლოდ ამ თვისების ხარჯზე გავდიოდით? წლევანდელი ნაკრები მართალია თავის წინამორბედებს შეუპოვრობაში არ ჩამორჩებოდა, მაგრამ ენერგია აკლდა. ბერტი ფოგტსი კარგა ხანია გაიძახოდა, ახალი სისხლი გვჭირდებაო. მერედა სად იყო ეს ახალი სისხლი? ფოგტსი თითქმის მთლიანად ვეტერანებს დაეყრდნო და წააგო კიდეც. ვითომ ახალგაზრდებით უარეს შედეგს მიაღწევდა? არა მგონია. თუნდაც იგივე იერემისი ავიღოთ. იგი უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ შედარებით გამოუცდელი ფეხბურთელია. საფრანგეთში მან ბევრი რამ ნახა და მომავალში ნაკრებს უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს. ასეთები შეიძლებოდა მეტნი ყოფილიყვნენ.

**— მთლიანად ჩემპიონატზე რას ფიქრობთ?**

— საკმაოდ საინტერესო გამოდგა, თუმცა სიახლეები არ შემინიშნავს. საერთოდ, ფეხბურთი ისე განვითარდა, რომ რაიმე თვალშისაცემი სიახლის დანერგვა ჯერჯერობით ძალიან ძნელია. აშკარაა, უფრო ძალისმიერი გახდა დაცვაში თამაში, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ 21-ე საუკუნეში ისევ უწინდელმა, შემტევმა ფეხბურთმა გაიმარჯვოს, ცხადია, გარკვეული სახეცვლილებებით. ყოველივე ახალი ხომ ძველის განმეორებაა, ოღონდ გაუმჯობესებული.

**— ახალი სახელები თუ აღმოაჩინეთ?**

— ოუენი, ცხადია. თუმცა, მას ჯერ ბევრი აქვს სამუშაო. დააკვირდით მისი თამაშის ყაიდას? როდესაც კარისკენ ქარიშხალივით მიიწევს, პარტნიორებს ნაკლებად ამჩნევს. ოუენს გუნდური თამაში აქვს დასახვეწი. თუმცა ბრწყინვალე სისწრაფე, ტექნიკა და სხვათა შორის, საკმაოდ მაგარი ნერვები აქვს. თანაც მეტად ახალგაზრდაა. ასე რომ, სულ მალე დედამიწას ახალი ვარსკვლავი ეყოლება.

**— გმადლობთ საუბრისთვის და გისურვებთ წარმატებებს.**

— თქვენც აგრეთვე. თუ საშუალება გექნებათ, მომიკითხეთ თქვენი ფეხბურთელები და გადაეცით, რომ კვლავაც სიამოვნებით შევხვდები მინდორზე, ოღონდ ამჯერად ვეტერანთა მატჩში.

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ზეა"**

სარბიელის არქივიდან



„უძლიერესმა შტურმმა კარს მიგვაჯაჭვა და გოლიც გავუშვით" — იგონებს 1979 წლის 7 ნოემბრის ამბავს კლაუს კარგუსი, რომელიც ამ ფოტოზე სწორედ იმ მომენტშია აღბეჭდილი

## ფეხბურთის რუკასთან



**ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „მილანის" წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კლუბის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ლიბერიელი ფორვარდი ჯორჯ ვეა გუნდში 2001 წლის 30 ივნისამდე დარჩება. იგი „მილანში" უკვე სამი სეზონია ასპარეზობს და 1995 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ პირველ ბუნდესლიგაში წლეულს აღზევებული „ნიურნბერგის" მწვრთნელი ფელიქს მაგათი გუშინ გადადგა, თუმცა გუნდი, როგორც ჩანს, უთავკაცოდ დიდხანს არ დარჩება. „ნიურნბერგის" პრეზიდენტის თქმით, იგი მოლაპარაკებას აწარმოებს ვილი რაიმანთან, რომელიც შარშან „ვოლფსბურგს" ხელმძღვანელობდა და იგი ლიგაშიც დატოვა. „ნიურნბერგთან" კონტრაქტი კი, ალბათ, ამ დღეებში გაფორმდება.

**ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ნაკრების ქოლთმიანმა ნახევარმცველმა ჰიდეტოში ნაკატამ განაცხადა, რომ კარიერას იტალიის სერია A-ში, კერძოდ, „პერუჯაში" გააგრძელებს. აქამდე იგი მშობლიურ „ბელმარ ჰირაცუკას" ღირსებას იცავდა და როგორც ტოკიოს აეროპორტში გამართულ სახელდახელო პრესკონფერენციაზე განაცხადა, ძლიერ უჭირს კლუბის დატოვება: „დასანანია, რომ იაპონიას ვტოვებ. უპირველესად იმიტომ, რომ აქ გულშემატკივრების დიდ სიყვარულს და მხარდაჭერას ვგრძნობდი. თუმცა, მეორე მხრივ, იტალიაში გადაბარგებას უდიდესი გამოცდილების შეძენის საშუალებად მივიჩნევ, რაც, რაღა თქმა უნდა, ნაკრებს გამოადგება". ზუსტად იგივე აღნიშნა „ბელმარ ჰირაცუკას" პრეზიდენტმა, იოშინორი შიგემაცუმ და დაამატა, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც იაპონიასა და კორეაში გაიმართება, მათ ნაკრებს მაღალი დონის გამთამაშებელი ეყოლება. კონტრაქტი „პერუჯასა" და ნაკატას შორის ოთხწლიანი გაფორმდა, ხოლო სატრანსფერო თანხა 3,5 მილიონ დოლარს შეადგენს. სხვათა შორის, ნაკატა მეორე იაპონელია, ვისაც ოდესმე სერია A-ში უთამაშია — 1993-94 წლების სეზონში კაზუიოში „კაზუ" მიურა „ჯენოას" ღირსებას იცავდა.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „არსენალის" ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი თურმე ძლიერ ღელავს იმის თაობაზე, რომ მისი ორი თანამემამულე, მსოფლიოს ჩემპიონის საფრანგეთის ნაკრების წევრები ემანუელ პეტი და პატრიკ ვიეირა პრემიერლიგური სეზონის დაწყებისთვის ძალების აღდგენასა და ემოციებისგან განტვირთვას ვერ მოახერხებენ. როგორც იცით, ამ ფეხბურთელებმა ჯერ „არსენალის" რიგებში მოიპოვეს ორი ტიტული — ინგლისის ჩემპიონობა და ფედერაციის თასი, ხოლო სულ ახლახან ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონებიც გახდნენ. ისინი ლონდონში 2 აგვისტოს ჩავლენ და 15 დღეში თავიანთი პირველი პრემიერლიგური მატჩის გამართვა მოუწევთ „ნოტინგემ ფორესტის" წინააღმდეგ. მეორე წყვილი, ოღონდ ჰოლანდიური — მარკ ოვერმარსი და დენის ბერხკამპი ინგლისის დედაქალაქს ერთი დღით ადრე, 1 აგვისტოს ეწვივნენ. ამასთან დაკავშირებით ვენგერმა განაცხადა: „მათ მომზადებისთვის ძალიან ცოტა დრო რჩებათ. გამარჯვება კაცს ხანდახან აღუნებს და ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. წინ უძნელესი სეზონი გველის, თუნდაც იმიტომ, რომ გულშემატკივარი ახლა უფრო მეტს მოგვთხოვს. როდესაც რაღაცას მოიგებ, მალე უნდა დაივიწყო და წინ გაიხედო — ეს ცხოვრების უმთავრესი გაკვეთილია. ვეცდები, ეს ყველას გავაგებინო".

## შვეიცარია

II ტური

**ლოზანა 2:2 ლუცერნი**

1:0 სელქტინი (6), 1:1 სკეფანოვიჩი (37), 1:2 კოუმანტარაკისი (41), 2:2 უდოვიჩი (71)

**ლუგანო 2:2 სენტ გალენი**

0:1 ცვისიგი (13), 1:1, 2:1 გიალანსა (16პ, 52), 2:2 ჰელინგა (54პ)

**სიონი 1:1 ქსამაქსი**

1:0 ვანეტა (51), 1:1 მოლისტი (87)

**არაუ 5:0 ბაზელი**

1:0 ალექსანდროვი (8), 2:0 ივანოვი (21), 3:0, 4:0 ალექსანდროვი (51, 65), 5:0 ჰელდმანი (70)

**ციურიხი 0:1 სერვეტი**

0:1 რეი (59)

შვეიცარიის ჩემპიონატის მეორე ტურში ნაცვლად ექვსისა ხუთი მატჩი შედგა. შეგახსენებთ, „გრასჰოპერი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის გამო „იანგ ბოისს" 15 ივლისს ეწვია და 1:3 დამარცხდა. დანარჩენ მატჩებში ყველაზე მოულოდნელი შედეგი არაუში დაფიქსირდა, სადაც მასპინძლებმა „ბაზელი" 5:0 გაანადგურეს. თამაშის გმირი 36 წლის ბულგარელი პეტარ ალექსანდროვი გახდა. მან ჰეთ-თრიქი შეასრულა და თან სამივე გოლი თავით გაიტანა. „ბედნიერი ვარ, რომ „არაუს" გულშემატკივრები ასე გავახარე, მათ ხომ ჩემი ყოველთვის სჯეროდათ" — თავდამსხმელი მატჩის შემდეგ ემოციებს ვერ ფარავდა.

ყველაზე დრამატული და საინტერესო ლუგანო-სენტ გალენის შეხვედრა გამოდგა. ორი გაძევება, ამდენივე პენალტი და ყვითლების ხშირი ფრიალი ყველაფერზე მეტყველებს. თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ მცირე ხნით, სამ წუთში გიალანსამ თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ორი წუთის შემდეგ მსაჯმა სენტგალელ ფიურენსს მოედანი დაატოვებინა. მალე სტუმართა მეკარემ ბურთის ფლობის 6-წამიანი წესი დაარღვია, თავისუფალი დარტყმა იმავე გიალანსამ გამოიყენა და დუბლი შეასრულა. 54-ე წუთზე როტამ ბურთი კარის ხაზიდან ხელით მოიგერია, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა, ჰელინგამ კი პენალტით ანგარიში გაათანაბრა — 2:2. საბოლოოდ მატჩი ასეც დასრულდა.

გათამაშების ცხრილში „სერვეტი" დაწინაურდა, რომელმაც „ციურიხიც" პირველ ტურში მარცხნაწვნევი „არაუს" გზას გაუყენა და სტუმრად 1:0 მოუგო.

„სიონმა" და „ლოზანამ" თავიანთი მატჩები კვლავ ფრედ დაასრულეს, შესაბამისდა, „ლუცერნთან" და „ქსამაქსთან".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| სენტ გალენი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ლუცერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ქსამაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| არაუ | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| იანგ ბოისი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ლოზანა | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| სიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ლუგანო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გრასჰოპერი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ბაზელი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:5 | 0 |
| ციურიხი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

## რუსეთი

მე-17 ტური. შინიკი — როტორი 2:0, ალანია — კრილია სოვეტოვი 5:0 (3 გოლი დემეტრაძემ გაიტანა), ჟემჩუჟინა — ბალტიკა 2:1, დინამო — ტიუმენი 1:0, როსტსელმაში — ურალანი 0:0, ლოკომოტივი — სპარტაკი 0:2, ზენიტი — ცსკა 0:1, ჩერნომორეცი — ტორპედო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 17 | 10 | 5 | 2 | 30:11 | 35 |
| ზენიტი | 17 | 8 | 7 | 2 | 26:12 | 31 |
| ლოკომოტივი | 17 | 7 | 5 | 5 | 18:13 | 26 |
| ჟემჩუჟინა | 17 | 7 | 5 | 5 | 19:17 | 26 |
| როტორი | 17 | 6 | 8 | 3 | 32:22 | 26 |
| შინიკი | 17 | 7 | 4 | 6 | 15:17 | 25 |
| ალანია | 17 | 6 | 7 | 4 | 23:18 | 25 |
| როსტსელმაში | 17 | 6 | 7 | 4 | 24:21 | 25 |
| ურალანი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:17 | 24 |
| ცსკა | 17 | 5 | 5 | 7 | 21:19 | 20 |
| ტორპედო | 17 | 4 | 8 | 5 | 18:18 | 20 |
| ბალტიკა | 17 | 4 | 7 | 6 | 15:23 | 19 |
| კრილია | 17 | 5 | 3 | 9 | 13:25 | 18 |
| ჩერნომორეცი | 17 | 3 | 9 | 5 | 21:21 | 18 |
| დინამო | 17 | 3 | 9 | 5 | 14:16 | 18 |
| ტიუმენი | 17 | 1 | 1 | 15 | 7:46 | 4 |

## წყალბურთი

წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურში საქართველოს ნაკრების გამოსვლაზე „სარბიელი“ შეძლებისდაგვარად მოგითხრობდათ და ჩვენი ბიჭების თურქეთიდან ჩამოსვლისთანავე ეროვნული გუნდის უფროს მწვრთნელ გელა ტუკვაძესთან ვრცელი ინტერვიუც შემოგთავაზეთ. ისიც გეხსომებათ, თუ რა მაღალი შეფასება მისცა ბატონმა გელამ თამაზ კუტივაძის თამაშს, არადა, წყალბურთის გულშემატკივარს კუტივაძე აუზში რვა წლის წინ უნახავს და მის გამოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე ნამდვილად აღარ ველოდით, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, გაჭირვება მაჩვენე და... თუმც ჩვენი მხრიდან ვარაუდების გამოთქმას თვითონ თამაზ კუტივაძესთან გასაუბრება ვამჯობინეთ, შევეხმიანეთ კიდეც და ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე

# აუზში წყალს ნუ ამოვაშრობთ

— ჩვენს ნაკრებში ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე გიორგაძე და ჩოდრიშვილი თამაშობენ. ეს ბიჭები ახალგაზრდები არიან და შესაბამისად გამოცდილება აკლიათ, ალბათ, ამიტომაც იყო, ჩემმა მეგობარმა გელა ტუკვაძემ რომ მთხოვა, მევარჯიშა და გუნდს დავხმარებოდი. მართალი გითხრათ, თავიდან უარზე დავდექი, როგორი საქმეა, საბჭოეთის დაშლის შემდეგ აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ჩამოშორებულმა რვა წლის მერე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშო, თუმც საბოლოოდ გელას თხოვნამ გაჭრა და მეც სათურქეთოდ მზადება დავიწყე.

**— ასეთი დიდი შესვენების შემდეგ, ალბათ, გაგიჭირდებოდათ ფორმის აღდგენა.**

— ტურნირამდე ორიოდ თვე იყო დარჩენილი და ამ ხნის განმავლობაში გუნდთან ერთად სერიოზულად ვემზადებოდი. თავიდან მართლაც ძალიან გამიჭირდა, შემდეგ ფორმაც დავიბრუნე, მაგრამ იმ დონეს მაინც ვერ მივაღწიე, „დინამოში“ თამაშისას რომ ვაჩვენებდი და ეს კანონზომიერადაც მიმაჩნია.

**— როგორც ვიცი, თურქეთში საკმაოდ ძლიერად ითამაშეთ.**

— ეს, ალბათ, მაინც გამოცდილების ხარჯზე, აქვე გეტყვით, ნამდვილად არ ველოდი, ასეთი მაღალი დონის წყალბურთს თუ შემოგვთავაზებდნენ მეტოქენი, თანაც ახლა გუნდები ახალი წესებით თამაშობენ. ათი წლის წინ ისრაელის, საფრანგეთის, ბელგიის გუნდებს თბილისის „დინამო“ უპრობლემოდ მოუგებდა.

**— ახალ წესებში რას გულისხმობთ?**

— მცველებს თავდამსხმელებთან მჭიდროდ თამაშის მეტი საშუალება მიეცათ, ჩვენი ამპლუის მოთამაშეებს ბურთის მისალებად დიდი ბრძოლა სჭირდებათ. წელან გამოცდილება ვახსენე და სწორედ გამოცდილებითა და პოზიციის შერჩევით ვცდილობდი მცველთა დაჯაბნას.

**— სტამბოლში თითქმის ყველა თამაშს თავიდან იგებდით და მხოლოდ მატჩის დასასრულს თმობდით პოზიციებს.**

— ალბათ, სათანადოდ არ ვიყავით ფიზიკურად მომზადებული, თანაც ჩვენს ბიჭებს სათამაშო პრაქტიკა აშკარად აკლიათ. მხოლოდ „ლაგუნა-ვერეს“ საცურაო აუზში მომზადებით მაღალი შედეგების ჩვენება ძალიან გაგვიჭირდება. არადა, მთლიანობაში გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მეკარე ნიკა ასათიანმაც ძლიერად ითამაშა. ნიკა ამჟამად იტალიის ერთ-ერთი კლუბის სათადარიგო მეკარეა, მაგრამ, ვფიქრობ, მისი სახით ნაკრებს საიმედო კარის დარაჯი ჰყავს. მცველებიც ღირსეულად ირჯებოდნენ, ხოლო გუნდის ლიდერმა ზვიად დავითიანმა პრაქტიკულად შეუცვლელად ჩაატარა ყველა შეხვედრა და თავდადებითაც იბრძოლა. აქვე გეტყვით, ძირითადი შემადგენლობის სრულფასოვანი შემცვლელები რომ გვყოლოდა, უკანასკნელ წუთებზე თამაშებს აღარ წავაგებდით.

**— ბატონო თამაზ, თქვენი დროის „დინამო“ და ახლანდელი საქართველოს ნაკრები რომ ერთმანეთს შეხვდნენ, ვინ მოიგებდა?**

— ძნელია ასე ხელაღებით თქვა, ვინ მოიგებდა, მაგრამ უპირატესობას მაინც „დინამოს“ მივანიჭებდი, უპირველესად იმიტომ, რომ ჩვენ შეთამაშებული გუნდი ვიყავით, ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში ვთამაშობდით და არცთუ ურიგოდ. გარდა ამისა, ყოველწლიურად თბილისის დიდ საერთაშორისო ტურნირში ვმონაწილეობდით და ისეთ გუნდებს ვეთამაშებოდით, როგორებიც უნგრეთის, იუგოსლავიის, კუბისა და მსოფლიოში სხვა უძლიერესი ნაკრებები იყვნენ.

**— საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გელა ტუკვაძემ „სარბიელთან“ საუბარში რეზო ჩომახიძეზე თქვა — ეგ რომ გუნდში მყავდეს, ევროპის 10-12 საუკეთესო გუნდს შორის ვიქნებოდითო.**

— მე რომ „დინამოში“ ვთამაშობდი, რეზო მაშინ მოვიდა გუნდში და მიუხედავად ახალგაზრდობისა, უკვე ეტყობოდა, მისგან დიდი წყალბურთელი დადგებოდა. რეზო ამჟამად რუსეთში, მოსკოვის „დინამოში“ ირჯება და არა მარტო რუსულ ლიგაში, არ ვაჭარბებ, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელია. იგი უნივერსალი მოთამაშეა, ნებისმიერ პოზიციაზე თანაბარი ძალით თამაშობს, თქვენ წარმოიდგინეთ და კარშიც შესანიშნავია. გარდა იმისა, რომ ფიზიკურად ძალიან ძლიერია, მოქნილიცაა და მასთან გამკლავება ყველას ძალიან უჭირს. რა თქმა უნდა, ასეთი მოთამაშე ნებისმიერ გუნდს ერთი-ორად გააძლიერებს და მით უმეტეს, საქართველოს ნაკრებს.



თამაზ კუტივაძე 1979 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე

**— თქვენი წყალბურთში მობრუნება, ალბათ, მაინც დროებითი იყო.**

— რა თქმა უნდა, მე მხოლოდ სათურქეთოდ დავეხმარე გუნდს. ნაკრები ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და სწორედ მათ უნდა დაიცვან ქვეყნის ღირსება საერთაშორისო ასპარეზზე. ამ ბიჭებს დიდი პოტენცია გააჩნიათ, გელა ტუკვაძეც კარგი სპეციალისტია და მჯერა, კარგ გუნდსაც შექმნის.

**— მოთამაშის კარიერა საბოლოოდ დაასრულეთ, მწვრთნელობაზე თუ გიფიქრიათ?**

— როგორ არ მიფიქრია, თუკი ოდესმე მწვრთნელობას მოვკიდებ ხელს, უპირველესად, ბავშვების აღზრდას მოვახმარ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას. რაც უფრო მეტი წყალბურთელი გვეყოლება საქართველოში, მით უფრო მეტი კლუბი შეიქმნება და ჩემპიონატსაც შესაფერისს ჩავატარებთ. რაც მთავარია, წყალბურთის განვითარებაზე სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ, გუნდების მომზადებისათვის სათანადო პირობები შევქმნათ, ბოლოს და ბოლოს, აუზებში წყალი არ უნდა ამოვაშროთ და მწამს, ქართული წყალბურთი კვლავ იტყვის თავის სათქმელს.

**სოსო ძოტორეიშვილი**

## ჭიდაობა

# კურტანიძე იჭიდავებს, პოლოსა კი — არა

შაბათ-კვირას თბილისის სპორტის სასახლე მორიგ საერთაშორისო შეჯიბრს უმასპინძლებს — ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში.

თავად ტურნირის ჩატარების ვადა სპეციალისტთა სკეპტიციზმს იწვევს. საქმე ისაა, რომ სექტემბერში სპორტის ამ სახეობაში ირანში მსოფლიოს პირველობა გაიმართა და არავინ ისურვებს ზედ ჩემპიონატის წინ თავისი სრულყოფილი სახის ჩვენებას. მიუხედავად ამისა, ტურნირი მაინც ტარდება და მასში უცხოელებთან ერთად ჩვენი ნაკრებიც იასპარეზებს.

როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ განაცხადა, ეს ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ უკანასკნელ ეტაპად განიხილება. სწორედ მისი შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ირანში გასაგზავნი ნაკრები. ამიტომ მწვრთნელმა თავის გამოჩენის შანსი ყველა კანდიდატს მისცა, თუმცა კურტანიძეს, პოლოსიანს, ბედინეიშვილსა და მოდებაძეს უკვე განაღდებული აქვთ ადგილები თავიანთ წონებში. თურმანიძის აზრით, ისინი ახლავე მზად არიან მსოფლიოს პირველობაზე საასპარეზოდ. ამ ოთხეულიდან ამ შაბათ-კვირას სპორტის სასახლის ხალიჩაზე ვერ ვიხილავთ ევროპის ჩემპიონ დათო პოლოსიანს. მას მუდამ ზედმეტი წონა აწუხებს და ასეა ამჟამადაც. დათოს რომ ახლა ეჭიდავა, უეჭველია, იგივე პრობლემა ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინაც გაუჩნდებოდა და ამიტომ მწვრთნელებმა ძალების დაზოგვის მიზნით იგი ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვებს მოარიდეს. მოსალოდნელია, რომ არ იჭიდავებს ემზარ ბედინეიშვილი, რომელსაც თავის ტრამვა აწუხებს — ერთ ვარჯიშზე მან მცირე შერყევა მიიღო და შეიძლება დაასვენონ, ან თავად ისურვოს დასვენება.

დანარჩენ ოთხ წონით კატეგორიაში პირველი ნომრები სწორედ ამ ტურნირის შემდეგ შეირჩევა, ამიტომ ჯერჯერობით რაიმეს გადაჭრით თქმა შეუძლებელია.

ჩვენი ნაკრები ამ ტურნირზე დაახლოებით 25 მოჭიდავით იქნება წარმოდგენილი, თუმცა ეს რიცხვი შეიძლება კიდეც გაიზარდოს, იმ შემთხვევაში, თუ უცხოელების მოსალოდნელი რაოდენობა არ ჩამოვა.

როგორც უკვე ვთქვი, ამ ტურნირის შედეგების მიხედვით სამსოფლიოსჩემპიონატო ნაკრები დაკომპლექტდება. ირანში გამგზავრებამდე ჩენი ნაკრები მოსამზადებელი ციკლის კიდევ ორ შეკრებას ბორჯომში გაივლის.

**ირაკლი თავაძე**

## ბატუტზე ხტომა

# მწვრთნელი — სისხლის სამართლის დამნაშავე

ჩვენი ბატუტისტების გაჭირვებაზე ადრეც ვწერდით. ან კი, ჩვენში რომ დარჩეს, რად უნდა ამას ბევრი საუბარი. ისედაც ხომ ნათელია, რომ არცთუ შორეულ წარსულში ჩვენში სპორტის ეს მეტად პოპულარული სახეობა სულს ღაფავს. თუ 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიო მასშტაბით ქუხდა ხოფერიას, დოლონაძის, ბენდიანიშვილის, აბრამაშვილისა და სხვათა სახელები, დღეს მიზეზთა და მიზეზთა გამო ბატუტი ისე დაკნინდა, რამდენიმე წელია, არც საქართველოს ჩემპიონატი ჩატარებულა და არც ჩვენს სპორტსმენებს უასპარეზიათ უცხოურ ტურნირებზე.

საბედნიეროდ ამ ბოლო დროს ქართველ ბატუტისტებს სპორტის დეპარტამენტმა გადმოხედა მოწყალე თვალით და მხოლოდ ენთუზიაზმის გამო მოვარჯიშე ჩვენს სპორტსმენებსაც ისევ მიეცათ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შანსი. დიდხანს ლოდინი არ დაჭირვებიათ — აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერში მეტად პრესტიჟული შეჯიბრებები ელით.

სწორედ ამ მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის სამზადისი გახლდათ რუსუდან ხოფერიასთან სატანვარჯიშო დარბაზში სტუმრობის მიზეზი, თუმცა უშუალოდ იქ მისული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაურ სულიაშვილს წავაწყდი. ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება კი ცოდვად ჩამეთვლებოდა, ამიტომ ჯერ მას გავესაუბრე.

**— ბატონო ზაურ, სად და რა ტურნირზე მიემგზავრება ჩვენი ნაკრები და რა შემადგენლობით?**

— 19-23 აგვისტოს შვეიცარიაში მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი ტარდება. ჩვენ თბილისიდან ორი კვირით ადრე გავფრინდებით, ჯერ გერმანიაში მოვემზადებით და იქედან ჩავალთ შვეიცარიაში.

ჩვენს ნაკრებში იასპარეზებენ რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე, რომლებიც გამოვლენ როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა შორის.

**— თქვენ თქვით, რომ ორი კვირით ადრე მიემგზავრებით გერმანიაში. ემზადებოდით თუ არა აქამდე?**

— დიახ, ადრეც და ახლაც, ამ დარბაზში აქაურ პირობებს თავადაც ხედავთ — ძველ სავარჯიშო იარაღებს რომ თავი დავანებოთ, ამ ფანჯრებჩამსხვრეულ დარბაზში, რომელიც არ თბება, ზამთარში ვარჯიში საერთოდ შეუძლებელია. ამიტომ ჩვენი სამუშაო გრაფიკიც წელიწადის დროთა ცვლაზეა დამოკიდებული. ასეთ მძიმე პირობებში ჩვენი უფულო და ღარიბი ფედერაცია ბევრი-ბევრი იმით გვეხმარება, რომ შეჯიბრებების დაწყებამდე ორი კვირით ადრე გვგზავნის გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში, სადაც დიდი და კეთილმწყობილი სატანვარჯიშო დარბაზია. იქვე ვარჯიშობს ანა დოლონაძეც, რომელიც გერმანიაში, ფრანკფურტის მახლობლადაა გათხოვილი. იგი და ხათუნა იქ ერთობლივად ემზადებიან.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენი დიდი პრობლემა უფულობის გარდა მოძველებული სავარჯიშო იარაღებია.**

— დიახ, ასეა. ჩვენი ბატუტები მართლაც ძველისძველია და გარდა იმისა, რომ თანამედროვე იარაღებს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება, მათზე ვარჯიში უკვე საშიშიცაა. ოდნავადაც არ ვაჭარბებ, ამას რუსიკოს ამასწინანდელი ტრავმაც მოწმობს: მას ვარჯიშისას ბატუტის ზამბარა გაუწყდა და ფეხში მოხვდა. მაშინ მიღებული ტრავმა ხოფერიას დღესაც არ მოშუშებია. მე სისხლის სამართლის დამნაშავე ვარ, რუსიკოს ამ ბატუტებზე ვარჯიშს რომ ვაძალებ (იცინის).

რაც შეეხება ახალი, თანამედროვე ბატუტის შეძენას, დაპირებით დეპარტამენტი კარგა ხანია გვპირდება, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს. ისე კი იმედი მაქვს, რომ წლის ბოლომდე ახალ იარაღებს ვეღირსებით.

**— თქვენ, როგორც მწვრთნელს, გაკმაყოფილებთ თუ არა ხოფერიას ამჟამინდელი მომზადების დონე?**

— ამ და მომდევნო შეჯიბრებებისთვისაც არანაირი მოსამზადებელი ეტაპი არ გაგვივლია. ახლაც ყოველგვარ ტურნირში მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ საკონტროლო ვარჯიშების იმედად მივდივართ. ამიტომ რუსიკოს მზადყოფნაზე ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ჩვენ აღვადგინეთ მისი ყველა ათი წლის წინანდელი ვარჯიში, რომლითაც ხოფერიამ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. რამდენად მზადაა იგი მაღალ მიზნებისათვის საბრძოლველად, ამას უშუალოდ ტურნირებზე ვნახავთ.

**— ანა დოლონაძეზე თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— სამწუხაროდ, არანაირი, რადგან იგი გერმანიაში ვარჯიშობს და მისი ოტსატობის წინასწარ ხილვის საშუალება არ გამაჩნია. ერთადერთი, რამაც დოლონაძის მზადებაზე შეიძლება წარმოდგენა შეგვიქმნას, მის მიერ საერთაშორისო ტურნირებზე ნაჩვენები შედეგებია. ანას ცუდად არ უასპარეზია და იმედი მაქვს, იგი კარგ ფორმაშია.

მწვრთნელთან საუბრის შემდეგ რუსიკოს ჯერიც დადგა, რომელმაც ამასობაში ვარჯიში დაამთავრა. ჯერ უცხოეთის გეგმებზე დავეკითხე.

— უახლოესი ტურნირი, რომელზეც გამოსვლა მომიწევს, 19-23 აგვისტოს შვეიცარიაში გასამართი მსოფლიო თასის მეორე ეტაპია. ოთხი ეტაპიდან ფინალში გასასვლელად სამ საუკეთესო შედეგს ითვალისწინებენ. მე პირველი გამოვტოვე, რადგან იგი ზამთარში გაიმართა და ამ დროს პირობების უქონლობის გამო ვერ ვვარჯიშობდი. ახლა სამივე ეტაპზე უნდა ვიასპარეზო.

როგორც ბატონმა ზაურმა გითხრათ, ფაქტობრივად, სრულიად მოუმზადებლად, მხოლოდ საკონტროლო ვარჯიშების იმედად მივემგზავრები შვეიცარიაში, სადაც ანა დოლონაძესთან ერთად ერთეულებშიც ვიასპარეზებ და წყვილებშიც.

**— რისი იმედი გაქვთ?**

— წინასწარ რა გითხრათ. მე ადრეც მოგახსენეთ, რომ ბოლოდროინდელმა გაჭირვებამ და ქაოსმა სპორტსმენებზე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უარყოფითად იმოქმედა. ამას ემატება ძველი ბატუტების პრობლემა და ამიტომაც მივდივარ შეჯიბრების დაწყებამდე გერმანიაში სავარჯიშოდ. იქ ახალ იარაღებს ვეგუები, თუმცა ბოლომდე შესაჩვევად ეს დრო მთლად საკმარისი არ გახლავთ. არის კიდევ ერთი პრობლემა — ფრანკფურტის სატანვარჯიშო დარბაზი თავისთავად დიდი და კეთილმოწყობილი კია, მაგრამ იქ სავარჯიშო დრო შეზღუდული გვაქვს. ამიტომ დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ბრძოლა შემიძლია.

**— ტრავმა ისევ გაწუხებს?**

— ოდნავ, მაგრამ იმედი მაქვს, ასპარეზობამდე მოვიშუშებ. თუმცა არ ვიცი, ამ ძველ ბატუტზე როდემდე უნდა ვივარჯიშო. ცოტა არ იყოს, კიდეც მეშინია იმ შემთხვევის შემდეგ. ახლა დეპარტამენტი ახალ, თანამედროვე ტიპის ბატუტებს გვპირდება და იმედი მაქვს, მალე ეს პრობლემა აღარ შეგვაწუხებს.



ხათუნა ხოფერია

**— შვეიცარიის შემდეგ სად აპირებ ასპარეზობას?**

— 14-18 სექტემბერს გერმანიის ქალაქი დესაუ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შვეიცარიიდან პირდაპირ გერმანიაში გავემგზავრები და იქვე გავაგრძელებ ვარჯიშს კონტინენტის პირველობისთვის. 2-13 ოქტომბერს მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქ სიდნეიში მსოფლიოს ჩემიონატი გაიმართება და, რა თქმა უნდა, იქაც ვცდი ძალას. მერეა მსოფლიო თასის ორი უკანასკნელი ეტაპი — ნოემბერში დანიაში და დეკემბერში საფრანგეთში (ზუსტი თარიღები ჯერ უცნობია). ამით დავამთავრებ კიდეც წლევანდელ სპორტულ სეზონს.

**— ბოლოს ოლიმპიადაზეც ვთქვათ. ვიცი, რომ საამისოდაც ემზადები.**

— ბატუტზე ხტომა ოლიმპიური სახეობა ახლახან გახდა და სიდნეიში სპორტსმენთა რაოდენობა შეზღუდული იქნება — სულ 12. საოლიმპიადო ლიცენზიები გაისად დურბანში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე გათამაშდება. ჩვენი სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ ბატუტის პოპულარობის გაზრდის მიზნით გადაწყვიტა, ლიცენზია მისცეს თორმეტ საუკეთესო ქვეყანას და არა მონაწილეს, ესე იგი, ერთ ქვეყანას მხოლოდ ერთი ლიცენზია ერგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე და ანას შორის ოლიმპიადაზე ერთ-ერთმა უნდა იასპარეზოს.

ბოლო შეკითხვით ისევ მწვრთნელს მივმართე:

**— აქვს თუ არა პერსპექტივა ბატუტზე ხტომას საქართველოში?**

— 21 ივლისს ქუთაისში დამთავრდა საქართველოს პირველობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ამ ტურნირმა წარმოაჩინა პერსპექტიული მოზარდები — სოფიკო გულიაშვილი, ნატო ჩიტაური, ნინო ტალახაძე, ლუბა გოლოვინა, რობერტ ლეონტიევი, თენგიზ კოშკაძე, დავით მჭედლიძე... ისინი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან, ოქტომბერში მოზრდილთა ჩემპიონატის პარალელურად რომ გაიმართება სიდნეიში. პერსპექტივას რაც შეეხება, ვფიქრობ, სათანადო სავარჯიშო პირობებში საქართველოში ბევრი მაღალი კლასის ბატუტზე მხტომელი გაიზრდება.

**ირაკლი თავაძე**

# ვლადიმერ ბოისა თავის თავზე და თანაგუნდელებზე

ვლადიმერ ბოისას სახელი სულ უფრო პოპულარული ხდება ქართულ კალათბურთში და საერთოდ სპორტში, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, იგივე მოხდება უცხოეთშიც. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მას საამისო მონაცემები და პოტენცია საკმაოდ გააჩნია, თუმცა ბოისას ჯერ რაიმე ხელშესახები წარმატებისთვის არ მიუღწევია.

მოკლედ, ვლადიმერ ბოისაზე საუბარი ახლა შეიძლება როგორც მხოლოდ ნიჭიერ, პერსპექტიულ კალათბურთელზე, რომლის კარგი მომავალი დღითიდღე ახლოვდება. ამდენად, გასაგებია ჩვენი მისდამი ინტერესიც



ვლადიმერ ბოისა იუგოსლავიელებთან თამაშისას

„ჩემი ოცნება ესპანეთის „რეალში" ან „ბარსელონაში" თამაშია" — გვითხრა მან. მაგრამ ბოისას ვერაფრით წარმოუდგენია თავისი მომავალი, ის ტიტულები და დრო, როცა კალათბურთს გამოეთხოვება.

„ალბათ, კალათბურთში რაღაც კვალს დავტოვებ, მაგრამ როცა მას გამოვემშვიდობები, დანამდვილებით ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ არავითარ შემთხვევაში არ ვიქნები მწვრთნელი. ეს მეტად საძნელო საქმე და მძიმე ტვირთია. როცა თამაშისას მწვრთნელთა განცდებს ვხედავ, მათ ადგილზე ყოფნას არ ვისურვებ. არა, ამისი ნერვები ნამდვილად არ მაქვს".

მაგრამ ასეთ შორეულ მომავალზე ბჭობა და მარჩიელობა ჯერ ნაადრევია, მით უმეტეს, რომ ვლადიმერ ბოისა ჯერ კიდევ დიდი სპორტის ზღურბლთან დგას. ამიტომ ახლა მხოლოდ აწმყოსა და წარსულზე ვსაუბრობთ. დღევანდელობა კი ის არის, რომ იგი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე გამოვიდა. მოსკოვში გამოსვლის თაობაზე იქვე არ ვესაუბრეთ, რადგან ძალზე ნირწამხდარი ჩანდა და ცხელ გულზე მოცემულ ინტერვიუში იქნებ ცივი გონებით ვერ შეეფასებინა თავისი თუ თანაგუნდელების გამოსვლა. ამიტომ ახლა იქიდან მომავალნი თვითმფრინავში ვსაუბრობთ.

„კმაყოფილი ვარ თუ არა საკუთარი თამაშით? — კითხვას გვიბრუნებს ბოისა და იქვე კითხვითვე აგრძელებს პასუხს — აბა, კმაყოფილი როგორ ვიქნები? ხომ ნახეთ ჩემი თამაში. ათბალიანი სისტემით თუ შევაფასებ ჩემს გამოსვლას, მაშინ ხუთი-ექვსი ქულის ღირსი თუ ვიქნები".

ამას რომ გვეუბნება ბოისა, მის მიმართ მეტი კეთილგანწყობილებით ვიმსჭვალებით, რადგან ჯოხის გადატეხვას სხვებზე არ ცდილობს და იქნებ გადაჭარბებული კრიტიკითაც აფასებს საკუთარ თამაშს. თუმცა, იგი არც თანაგუნდელების თამაშითაა კმაყოფილი. განსაკუთრებით იუგოსლაველებთან მეოთხედფინალურ მატჩში, სადაც, მისივე სიტყვებით, ბევრი ჯარიმა „გამაზეს", ბურთებსაც ხშირად კარგავდნენ...

**— მაინც, თქვენ რით ახსნით ამას?**

— ვერ გეტყვით, იქნებ ეს ზედმეტი ნერვიულობის ბრალიც იყო. იქნებ მათმა ტიტულებმა დაგვაფრთხო. ისინი ხომ თანატოლთა შორის ევროპის პირველობაზე გამარჯვებულნი არიან.

**— მიუხედავად ამისა, მოგვეჩვენა, რომ მათთან მოგება შეიძლებოდა.**

— მოგება ყველასთან შეიძლებოდა. ისე კი, მეოთხედფინალში ბერძნებთან თამაში მერჩივნა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათ მოვუგებდით. იუგოსლავიასთან კი ეს მეტად ძნელი იყო. რეალურად თუ შევხედავთ, ჩვენ მეხუთე-მეექვსე ადგილის გუნდი ვიყავით, თუმცა, ვიმეორებ, იუგოსლავიას რომ არ გადავყროდით, ნახევარფინალშიც ვითამაშებდით. არადა, მერე მეხუთე ადგილისთვის ბრძოლაშიც დავმარცხდით. ასე რომ არ მომხდარიყო, მთლად უკმაყოფილო არ დავრჩებოდი.

ყოველივე ამაზე რომ გვესაუბრება ბოისა, მის ყოველ სიტყვაში, თითოეულ ფრაზაში, მიმიკასა თუ ჟესტიკულაციაში იგრძნობა კალათბურთისადმი უსაზღვრო სიყვარული. იგი ისე საუბრობს მასზე, როგორც სატრფოზე. თავადვე გამოგვიტყდა, კალათბურთი ისე მიყვარს, რომ არ ვითამაშო, ალბათ, მოვკვდებიო. იქაც, მოსკოვში, თუ თავად არ თამაშობდა, სხვათა შეხვედრებს ესწრებოდა და ერთიც არ გამოუტოვებია.

ყველაფერი კი ცურვით დაწყებულა.

— ჩემი მშობლები სპორტსმენები იყვნენ — გვიამბობს ვლადიმერ ბოისა — მამა ფეხბურთს თამაშობდა, დედა — ფრენბურთს. სულ პატარა ვიყავი, მათ რომ რუსთავში ცურვაზე მიმაბარეს. დიდებში მეორეთანრიგოსანი გავხდი და სწორედ მაშინ ჩემმა მწვრთნელმა საქართველო დატოვა და რუსეთს მიაშურა. ცურვაში სხვა მწვრთნელი ველარ წარმომედგინა, ამიტომ აუზს გამოვეთხოვე. დედამ, ქუჩაში რომ არ დავრჩენილიყავი, იქვე კალათბურთზე მიმიყვანა. ისე, სასხვათაშორისოდ, ჩემთვის ვთამაშობდი თუ ვერთობოდი. მაშინ არავითარი სერიოზული განზრახვა არ მქონია. კალათბურთი მერე და მერე შემიყვარდა. ცურვას ახლა მეორე ადგილზე ვაყენებ. მიყვარს ჩოგბურთიცა და ფეხბურთიც, ოღონდ ეს უკანასკნელი მაშინ უფრო მომწონს, როცა თავად ვთამაშობ.

**— კალათბურთს დავუბრუნდეთ. უცხოური კლუბებიდან გექნება მიწვევები.**

— ადრე ჰოლანდიიდან დაინტერესდნენ, მაგრამ აღარსად ჩანან. ახლა ჩემდამი ინტერესს სლოვენიასა და მოსკოვში იჩენენ, მაგრამ ამაზე საუბარი დღესდღეობით არ მინდა. ყველაფერს სექტემბერში გადავწყვეტ.

**ავთანდილ გურასაშვილი**
მოსკოვი — თბილისი
ავტორის ფოტო

ველორბოლა

# მთის მეკობრე

98 LE TOUR DE FRANCE

მე-10 ეტაპი.
პოდან ლუშონამდე.
196,5 კმ.

თუ თავად მრბოლებს ვენდობით პირველი ათი დღის განმავლობაში „ფესტინას" გუნდთან დაკავშირებული დოპინგ-სკანდალის გამო ჩრდილში მოქცეული „ტურ დე ფრანსი" მხოლოდ ახლა, მთიანი ეტაპების ჯერის დადგომისას იწყება. ინტრიგებითა და 45-გრადუსიანი სიცხით შეწუხებული მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა თავის მონაწილეებს სამშაბათს პირენეების ერთბაშად ხუთ უმძიმეს უღელტეხილზე — ობისკზე, ტურმალეზე, სულორზე, ასპენზე და პეირესურდზე აუძლვა.

„ტურის პირველი სამთო ეტაპი ყოველთვის ყველაზე ძნელია, მნიშვნელობა არა აქვს, ეს ალპები იქნება თუ პირენეები. სტარტის წინ, დილით, ცოტათი ყოველთვის გეშინია,ვაითუ ვერ გაუძლო, წაიქცე, ან რაიმე უბედურება დაგემართოს, არასოდეს არ იცი, რას უნდა ელოდე" — ეს სიტყვები მსოფლიოს ჩემპიონსა და კლასიფიკაციით პირველ მრბოლს, ფრანგ ლორან ჟალაბერს ეკუთვნის.

თავად ჟალაბერმა ამ დღეს ასპენის აღმართს ორჯერ შეუტია, მაგრამ კონკურენტებისგან გაქცევა მაინც ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, გაცილებით უკეთ გამოუვიდა იგივე იტალიელ ვეტერან როდოლფო მასის, რომელიც თანამემამულე ალბერტო ელისა და ფრანგ სედრიკ ვასერთან ერთად ჯგროს დისტანციის ერთი მესამედის გავლის შემდეგ დაუძვრა ერთ-ერთ ნისლიან აღმართზე და პირველობა ბოლომდე აღარავისთვის დაუთმია. „გასული ათი წლის განმავლობაში სხვებისთვის ვშრომობდი, დღეს კი გადავწყვიტე საკუთარი თავისთვისაც მიმეხედა. ეს შესანიშნავი იყო" — განაცხადა 32 წლის იტალიელმა, რომელმაც ეტაპზე გამარჯვებასთან ერთად მთის მეფის თეთრ-წითელი მაისურიც გაიხერხა. მასის თავის დროზე ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ 1988 წელს ისე ძლიერად წაიქცა, მთელი სეზონის გამოტოვება მოუხდა და მას აქეთ მოყოლებული ძირითადად „შავი მუშის" რეპუტაციით სარგებლობდა.

მასის უკან მთელი ეტაპის განმავლობაში ლიდერთა უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა. ტურის შარშანდელი გამარჯვებულის — იან ულრიხის მოტოვების ხან ერთი კონკურენტი ცდილობდა და ხან მეორე, უკანასკნელ აღმართზე ჯიროს ჩემპიონმა, ბენდენამოხვეულმა „მეკობრე" მარკო პანტანიმაც გაიბრძოლა, მაგრამ გერმანელს საბოლოო ჯამში მხოლოდ 23 წამით აჯობა და ვერც ყვითელი მაისურის მორგებაში შეუშალა ხელი: „დღე ძალიან მძიმე იყო, პირობები გამუდმებით იცვლებოდა, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან დიდად არ გამჭირვებია". როდესაც ულრიხი პოდიუმზე ყვითელ მაისურს იცვამდა, ტურის წინა ლიდერს, ფრანგ ლორან დებიანს ფინიშის ხაზის გადაკვეთას 15 კილომეტრი უკლდა.

მცხუნვარე ამინდების შემდეგ ყველა ისევ მზიან დღეს ელოდა, მაგრამ პირენეებზე ტურის მონაწილეებს მხოლოდ ნისლი და წვიმა დაუხვდათ. 17-მა მრბოლმა ამ პირველივე მძიმე გამოცდაზე აიკრა გუდა-ნაბადი, მათ შორის ერთ-ერთმა ფავორიტმა ფრანჩესკო კასაგრანდემაც, თუმცა ეს უკანასკნელი მთებს კი არ შეუშინდა, მოლიპულ დაღმართზე დაეცა და რბოლა სასწრაფო დახმარების მანქანით გააგრძელა.



კეთილი იყოს თქვენი მობრძანება

**მე-10 ეტაპი: 1. მასი 5:49,50; 2. პანტანი +36; 3. მიქაელ ბუგერდი (ჰოლანდია) +59; 4. ბობი ჯულიჩი (აშშ); 5. ჯუზეპე დი გრანდე (იტალია); 6. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი); 7. ფერნანდო ესკარტინი; 8. ულრიხი — ყველას იგივე დრო.**

მე-11 ეტაპი.

ლუშონიდან პლატო დე ბეიმდე 170 კმ

მეთერთმეტე ეტაპით ტურ დე ფრანსის პირენეული თავგადასავლები მთავრდებოდა, ამიტომ მთიანი ტრასების ოსტატებს თავის გამოჩენის უკანასკნელი შესაძლებლობა (ალპებამდე) ჰქონდათ. თავიდან ტრასაზე წინ შვეიცარიელი როლანდ მეიერი გაიჭრა და კარგა ხანს პელოტონს თითქმის ხუთი წუთითაც უსწრებდა, მაგრამ ნეიტრალურქვეყნელი ბოლოს შესამჩნევად დაიღალა და მისმა უპირატესობამაც თანდათან იკლო. უკანასკნელ, ყველაზე მძიმე აღმართზე მდევრებს ისევ თავხოტორა, ოღონდ ამჯამად ბლანჟემოშვებული მარკო პანტანი გამოეყო და რაკილა მასთან ერთად გაქცევის სურვილი არავის გამოუთქვამს, დევნა მარტომ განაგრძო. იტალიელმა შვეიცარიელს ფინიშამდე ხუთიოდ კილომეტრში გადაასწრო კიდეც და წლევანდელ ტურზე თავისი პირველი გამარჯვება იზეიმა, თან საერთო ჩათვლაში დაწინაურებულ ულრიხთან ჩამორჩენა თითქმის ორი წუთით შეამცირა.

ამასობაში ტურს კიდევ ერთი ფავორიტი გამოაკლდა. შარშანდელი რბოლის მეოთხეადგილოსანმა, წლეულს კი საერთო ჩათვლაში მეექვსე პოზიციაზე დამკვიდრებულმა ესპანელმა აბრაჰამ ოლანომ ტრასის ნახევრის გავლის შემდეგ გუნდის მანქანაში გადაინაცვლა. „იგი ყოველი კილომეტრის შემდეგ სულ უფრო ცუდად გრძნობდა თავს, ამიტომ გადავწყვიტეთ, რბოლიდან მოგვეხსნა" — განაცხადა „ბანესტოს" დირექტორმა ეუსებიო უნზუემ.

დღეს ტურზე დასვენებაა.

**მე-11 ეტაპი: 1. პანტანი — 5:15,27; 2. მეიერი +1,26; 3. ჯულიჩი +1,33 4. ბუგერდი +1,33; 5. ლეონარდო პიეპოლი (იტალია) +1,34 6. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +1,34... 8. ულრიხი +1,40.**

**საერთო ჩათვლა: 1. ულრიხი — 52:42,25; 2. ჯულიჩი +1,11; 3. ჟალაბერი +3,01; 4. პანტანი +3,02; 5. ბუგერდი +3,29.**

**ლაშა ლომჯარია**

# ყველაზე სწრაფი მსოფლიოში

1998 GOODWILL GAMES

სამშაბათს კეთილი ნების თამაშებზე მეტად უსიამოვნო ამბავი მოხდა: ჩინელი ტანმოვარჯიშე ქალი სანგ ლანი მოთელვის დროს ძვირიდან ჩამოვარდა და ძალიან მძიმე ტრავმა მიიღო. ლანი იატაკზე თავით დაეცა და დადუმებული დარბაზიდან საკაცით გაიყვანეს. საავადმყოფოში იგი გონს კი მოვიდა, მაგრამ ჯერჯერობით ისევ პარალიზებულია. „მან ხერხემალი დაიზიანა და ფეხებს საერთოდ ვერ ამოძრავებს" — განაცხადა ექიმმა ბროკ შნებელმა, რომლის თქმით ჯერ კიდევ გაურკვეველია, შეძლებს თუ არა ოდესმე ჩინელი ტანმოვარჯიშე სიარულს.

დიდ ინტერესს იწვევდა ამ დღეს 100 მეტრზე სირბილში შეჯიბრი კაცებს შორის, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერეს მძლეოსანს მოეყარა თავი. ყველა ძალლ-კატასავით გადამტერებული მსოფლიოს რეკორდსმენის, კანადელი დონოვან ბეილისა და მსოფლიოს ჩემპიონის, მორის გრინის დუელს ელოდა, მაგრამ ამერიკელი სტარტიდანვე დიდი მანძილით დაწინაურდა და 9,96-წამიანი შედეგით გაიმარჯვა, ბეილიმ კი უკანასკნელი მეტრები ლამის სიარულით ჩაათავა და მეშვიდე ადგილზე გავიდა. „მე პლანეტის უსწრაფესი ადამიანი ვარ და ეს კიდევ ერთხელ დავუმტკიცე ყველას" — განაცხადა გრინმა, კანადელმა კი თავისი სუსტი ასპარეზობა კონცენტრაციის დაკარგვას მიაწერა, სხვაფრივ შესანიშნავად ვიყავი მომზადებულიო. მეორე ადგილზე ტრინიდად და ტობაგოელი ატო ბოლდონი გავიდა (10,00), მესამეზე — ამერიკელი ბრაიან ლუისი (10,25).

400 მეტრზე სირბილში კიდევ ერთმა ამერიკელმა — ამ დისტანციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაიკლ ჯონსონმა გაიმარჯვა. გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული ჯონსონმა რამდენიმე ტრავმა გადაიტანა და ევროპაში ჩატარებულ შეიჯიბრებზე გასულ თვეებში სამიდან ორჯერ დამარცხდა, მაგრამ კეთილი ნების თამაშებს ამერიკელი შესანიშნავად მომზადებული შეხვდა და ფინიშის სწორზე ყველა პრეტენდენტიც ჩამოიტოვა შედეგით 43,76 წამი. „ევროპაში ასპარეზობამ და ხანგრძლივმა ვარჯიშებმა კარგი სამსახური გამიწია" — განაცხადა ამერიკელმა, რომელსაც მედალი თვით კრივში მძიმეწონოსანმა მსოფლიოს ჩემპიონმა ევანდერ ჰოლიფილდმა გადასცა. მეორე-მესამე ადგილებზე კი — ტირე ვაშინგტონი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანტონიო პეტიგრიუ გავიდნენ.

როგორც ეტყობა, სერგეი ბუბკას მალე მოუწევს დიდი სპორტიდან წასვლა. მსოფლიოს 35 რეკორდის პატრონმა, ყველა დროის საუკეთესო ჭოკით მხტომელმა ნიუ იორკში საწყისი სიმაღლეც ვერ დაძლია, უკანასკნელ ცდაზე კი დროის ამოწურვის გამო ნახტომის შესრულებაც ვერ მოასწრო. ჩემპიონი კი ამერიკელი ჯეფ ჰარტიგი გახდა — 6 მეტრი და 1 სანტიმეტრი.



მორის გრინი

ამასობაში წყალბურთელებმა ფინალისტების გარკვევაც მოასწრეს. უკანასკნელ ტურში რუსეთმა იტალიას აჯობა — 7:4, ესპანეთმა აშშ-ს — 10:5 და გადამწყვეტ მატჩშიც სწორედ ეს გამარჯვებული გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს.

**ავთანდილ სვანიძე**

**ტანვარჯიში**

თავისუფალი ვარჯიში. კაცები
**1. ალექსეი ნემოვი (რუსეთი) 9.725; 2. ჯეი ტორნტონი (აშშ) 9.550; 3. ალექსეი ბონდარენკო (რუსეთი) 9.525**

ნაირსახის ორძელი. ქალები
**1. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი) 9.825; 2. ელიზ რეი (აშშ) 9.700; 3. სიმონა ამანარი (რუმინეთი) 9.600**

**სირბილი**

1 მილი. კაცები
**1. ნურედინ მორსელი (ალჟირი) 3:53,39; 2. უილიამ ტენუი (კენია) 3:54,05; 3. დანიელ კომენი (კენია) 3:54,78**

20 000 მეტრი. კაცები
**1. ჯულიუს გიტაი (კენია) 27:49,89; 2. ჯერლ მაილს-კლარკი (აშშ) 50,43; 3. სენდი რიჩარდსი (იამაიკა) 50,98**

**სამხტომი**

კაცები
**1. ჯონათან ედვარდსი (ინგლისი) 17,65; 2. იოელის კესადა (კუბა) 17,28; 3. ლამარკ კარტერი (აშშ) 17,16**

# ვინ მძლოლია და ვინ მოძღვარი

## იტალიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს

გუშინ იტალია „სკუადრა აძურას" ახალ მწვრთნელს, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირს დინო ძოფს შეეგება. ბერზოტისეული დიდი ნაკრების კაპიტანმა გადამდგარი ჩეზარე მალდინი შეცვალა. გუშინ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუჩანო ნიცოლამ ლეგენდარულ მეკარეს ხელი ჩამოართვა.კაცს, ვისაც ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი შეხვედრა აქვს ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული, ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. 56 წლის ძოფმა მიატოვა რომაული კლუბის „ლაციოს" პრეზიდენტს სავარძელი და ეროვნულ საქმეს ჩაუდგა სათავეში. არადა ფედერაციის პრესმდივნის დილის განცხადებით ეს ყველაფერი მომავალ სამშაბათს უნდა მომხდარიყო, გაზეთებმა იცრუესო, ამბობდა იგი.

ტურინის გაზეთი „ტუტოსპორტი" არაფერში შემცდარა და სხვა გაზეთებსაც სწორად აუტაცებიათ მისი ინფორმაცია.



დინო ძოფი — „სკუადრა აძურას" ახალი მწვრთნელი

შეგახსენებთ, რომ გადამდგარ მალდინის „სკუადრა აძურა" 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში, საქართველოს ნაკრებთან თამაშის შემდეგ ჩააბარეს და მან შეჯიბრების დასკვნითი ეტაპის მეოთხედფინალამდე მიაღწია. ამისათვის მოხსნეს კიდეც, გუნდის კაპიტნის პაოლო მალდინის 66 წლის მამას ყურადღების დაცვაზე მეტისმეტი გამახვილება დაუწუნეს.

ცნობილი მილანური „ლა გაძეტა დელო სპორტის" თანახმად ნიცოლა, რომელიც მალდინის გასულ შაბათს შეხვდა, იმედოვნებდა, რომ მწვრთნელი დარჩებოდა თანამდებობაზე. როგორც ირკვევა, მან მანამდე, რომელილაც პლაჟზე მოსვენებულ მალდინის დაურეკა კიდეც პირად, ჯიბის ტელეფონზე, მაგრამ საუბრის შედეგად იმედი გაუცრუვდა.

„ჩეზარე მალდინი ნაწყენი იყო და მისი კარგად მესმის. იგი აშკარად, ლინჩის წესით გაასამართლეს" — წერდა გაზეთი ნიცოლას სიტყვებს.

სტატიის ავტორის ვარაუდით ძოფის დანიშვნისგან ფედერაცია აქამდე ფულის გამო იკავებდა თავს. „ლაციოს" პრეზიდენტი კლუბში, სეზონში მილიარდ ლირას ანუ 570 ათას დოლარს იღებდა და კონტრაქტი 2002 წლამდე ჰქონდა დადებული. აბა, ამ შემოსავლის შედარება მალდინის ხელფასთან, რომელიც 650 მილიონი ლირა იყო, როგორ შეიძლებაო, კითხულობდა ჟურნალისტი.

ფედერაციას ძოფისთვის თავიდან მხოლოდ 2000 წლამდე შეუთავაზებია თანამშრომლობა. 2000-ში ხომ საკუთრივ ნიცოლას უფლებამოსილებაც იწურება, მაგრამ საბოლოოდ ახალ მწვრთნელს კიდევ ორი წელი დაუმატეს და როგორც ამბობენ, გზადაგზა გვარიან პრემიებსაც დაპირდნენ, რომელთაგან ზოგი თურმე თვით ხელფასის ტოლიც კი იქნება.

მაშ ასე, დინო ძოფი 5 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში, უელსის წინააღმდეგ პირველად ათამაშებს „სკუადრა აძურას".

1982 წელს ძოფი იტალიელთათვის ლამის მითოლოგიურ გმირად იქცა. იგი ნაკრებში ჯერ კიდევ 1968 წელს გამოდიოდა. „აძურის" ფორმაში სულ 112-ჯერ გამოწყობილმა ვარსკვლავმა 59-ჯერ კაპიტნის სამკლაურიც შემოიჭდო. მისი ბოლო საერთაშორისო შეხვედრა კი 1983 წლითაა დათარიღებული.

ლეგენდარული კაპიტანი იტალიის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელიც გახლდათ სეულის 1988 წლის თამაშებზე. სეულამდე მან გუნდი შესარჩევ შეჯიბრებაში დამარცხების გარეშე მიიყვანა. ძოფი ერთი ხანობა „იუვენტუსსაც" თავკაცობდა და იტალიისა და უეფას თასები მოაპოვებინა, შემდეგ კი „ლაციო" ჩაიბარა.

მალდინის მიერ სათადარიგოდ ქცეულმა ვარსკვლავმა რობერტო ბაჯომ განაცხადა:

„ბედნიერი ვარ, ნაკრების მწვრთნელი ძოფი რომ გახდა. იგი, ჩემი აზრით, ნამდვილი მოძღვარია".

სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაბრწყინებულმა კრისტიან ვიერიმ დაიცვა ყოფილი თავკაცი:

„არა მგონია, მალდინის რამე გაეფუჭებინოს. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატი თავაწეულებმა დავტოვეთ".

ნიცოლა მაინც ბოლომდე მალდინის ერთგული რჩება და აცხადებს, ფედერაციაში რაიმე თანამდებობას გამოვუნახავო, მაგრამ თავად გადამდგარმა სტრატეგოსმა იენამწარა:

„რა თანამდებობას? ალბათ, მძღოლისას არა?".

**ჯუდი ვებერი, როიტერი**

# შეთქმულთა თავყრილობა ლონდონში



ფრანც ბეკენბაუერს კოსმოპოლიტური მომავლისა სჯერა

**ლონდონში** სრულიად საიდუმლოდ შეკრებილან ძლიერნი საკლუბო ევროპისანი. მათი განზრახვა ძველია და ნაცნობი — სუპერლიგის შექმნა.

მოლაპარაკებათა შედეგად ბეჭედი არაფერს დასმია, მაგრამ კონკრეტული საკითხების შეთანხმებაში ნაბიჯი წინ გადაუდგამთ. ლონდონური სერობის ძირითადი თემები მოგვიანებით ინგლისურ „სანდი ტელეგრაფსა" და გერმანულ „ბილდში" დაიბეჭდა.

ჩანაფიქრი ასეთია: 2000-2001 წლების სეზონში კონტინენტის თექვსმეტმა ბობოლა კლუბმა, რომელთა შორის იქნებიან „რეალი", „ბარსელონა", „პარი სენ ჟერმენი", „ბაიერნი", „აიაქსი" და სხვანი, უნდა დაიწყონ საკუთარი, ზეეროვნული პირველობის ჩატარება, რომლის თამაშებიც შუა კვირაში გაიმართება. მატჩების რაოდენობა იქნება სულ ცოტა 14, ყველაზე მეტი 19 — გააჩნია შეჯიბრებაში რამდენად შორს წავა ესა თუ ის კლუბი.

ერთი შეხედვით სუპერლიგის ავტორები ეროვნულ პირველობებს არაფერს ერჩიან, ამბობენ კვირის შუაში ვითამაშებთ, უქმეებზე კი ჩვენ-ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში გამოვალთო, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ სუპერლიგიდან არავინ გავარდება და მას არც ვინმე შეემატება ანუ ეროვნულ შეჯიბრებაში გამარჯვებას იქ მოხვედრის თვალსაზრისით მნიშვნელობა ექნება დაკარგული.

ლონდონიდან გამოსულ ხმათა თანახმად საიდუმლო შეკრება იტალიელთა თაოსნობით გამართულა. ერთი წყარო ამტკიცებს, რომ ინიციატორები „ინტერი" და „იუვენტუსი" იყვნენ, მეორე კი მათ „მილანსაც" ამატებს. სავარაუდოდ მეორე უფრო სწორია, რამეთუ ცნობილია „მილანის" პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის სიტყვები: „ჩამოყალიბდება სუპერ პროფესიული საფეხბურთო ლიგა, ისეთივე როგორც ამერიკული ბურთაობისაა და იგი მილიონობით მაყურებლის ყურადღებას მიიზიდავს".

შეკრებას ინგლისურ ბობოლათაგან მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედის" ემისარი ესწრებოდა, მაგრამ მის გასაგონად საკმაოდ მკაფიო ქარაგმა ითქვა, თქვენი ქვეყნის წარმომადგენლობა სუპერლიგაში მხოლოდ ერთი კლუბით არ შემოიფარგლებაო.

სურათი ნათელია, ევროპული საკლუბო ფეხბურთის გოლიათებს ხელს არ აძლევთ უეფას შემოღებული, დღევანდელი ჩემპონთა ლიგა და უპირატესად სწორედ მის წინააღმდეგ ილაშქრებენ, მაგრამ იმავდროულად მათი ლაშქრობა, თუნდაც უფრო ფარულად, ეროვნული ჩემპიონატების წინააღმდეგაც არის მიმართული.

ცნობილია, რომ შეთქმულებს არსებული რეჟიმის ორი მომენტი არ მოსწონთ ყველაზე მეტად.

პირველი: სატელევიზიო მარკეტინგი მთლიანად უეფას ხელშია, შესაბამისად ფულიც მას მიუდის და ის ანაწილებს. თუ ჯაჭვიდან უეფას რგოლს მოიშორებენ, ხსენებული ლიგის პატრონებს უზარმაზარი თანხებით თამაში უშუალოდ შეეძლებათ.

მეორე: დიდ დასავლეთევროპულ კლუბებს არ ეპიტნავებათ აღმოსავლეთევროპელ მეტოქეებთან გაჯიბრება, თუნდაც მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე. მაგალითად, როგორც შარშან „ლევერკუზენს" თბილისში, წლეულს „მანჩესტერ იუნაიტედს" შესაძლოა პოლონეთში, ან სულაც აზერბაიჯანში მოუხდეს ერთი შეხვედრის გამართვა.

„სანდი ტელეგრაფსა" და „ბილდში" გამოქვეყნებულ ამ ცნობებს თან ერთვოდა ელიტარული საფეხბურთო მოღვაწის, მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის კომენტარები. კაიზერ ფრანცი გაცილებით შორს წავიდა ფეხბურთის მომავალზე მსჯელობისას და განაცხადა, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად მოეწყობა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, რომელიც დაუნდობლად დაჩრდილავს მსოფლიო ჩემპიონატებს ეროვნულ ნაკრებებს შორის.

ბუნებრივია, ლონდონში შეკრებილთა და მათ თანამოაზრეთა საქმის წინააღმდეგ სერიოზულად გაილაშრებენ საკუთრივ უეფა და მასში შემავალი ქვეყნების ფედერაციები. უეფას კარგა ხანია განცხადებული აქვს, რომ სუპერლიგის იდეის ძირში აღსაკვეთად მის ხელთ არსებულ ყველა ხერხს მიმართავს.

საიდუმლო თათბირიდან ორიოდ დღის შემდეგ უეფას პრეზიდენტმა, ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა:

„ჩვენ წინასწარვე ვიცოდით, რომ ლონდონში „საიდუმლო" შეკრება უნდა გამართულიყო და მასზე სუპერლიგის შექმნის საკითხებზე უნდა ელაპარაკათ. ასე რომ, მოულოდნელი და გამაოგნებელი არაფერი მომხდარა. ამასთანავე, ვთვლი, რომ სწორედ მოვიქეცით, ხელი რომ არ შევუშალეთ. წინააღმდეგობის გაწევა დემოკრატიული ნაბიჯი არ იქნებოდა. ახლა, უპირველეს ყოვლისა, ველოდებით იმ ეროვნულ ფედერაციათა რეაქციას, რომელთა წევრი კლუბებიც მონაწილეობდნენ ლონდონურ შეკრებაში. ველოდებით დანარჩენ ფედერაციათა პასუხსაც".

როგორც ჩანს, ევროპულ ფეხბურთში მართლაც ძალიან დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ერთი მხრივ დგას ისეთი ძალმოსილი ორგანიზაცია, როგორიცაა უეფა, მეორე მხრივ — მილიონერ კლუბები.

სუპერლიგის მესვეური თხუთმეტი თუ თექვსმეტი კლუბი რაა, ინგლისური „ასტონ ვილას" თავმჯდომარე დაგ ელისიც კი სხვანაირად ალაპარაკდა. დაგვეთანხმებით, „ასტონ ვილა" ნამდვილად არ განეკუთვნება იმ ელიტას, ზემოთ რომ ვახსენეთ, მაგრამ...

„სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ევროპულ სუპერლიგას წინ ვერაფერი აღუდგება. მისი ამოქმედება მხოლოდ და მხოლოდ დროის საქმეა. ლონდონური შეკრების დეტალებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ვეჭვობ, იქ რაიმე ახალი თქმულიყო. ჩვენ პრემიერლიგაში ხშირად ვსაუბრობთ ამ თემაზე. ცხადია, ფეხბურთის პოპულარობა ერთიორად გაიზრდება, თუკი ჩვენ შუა კვირაში „მილანს" შევხვდებით, ერთი კვირის მერე „ბარსელონას" და იმავდროულად საშინაო შეხვედრებსაც ჩავატარებთ".

თუკი „ასტონ ვილას" აღეძრა სუპერლიგაში თამაშის სურვილი, მით უმეტეს, აღეძრება „ლაციოს", მადრიდის „ატლეტიკოს", „კაიზერსლაუტერნს", „მარსელს", „ნიუკასლს" და ასე შემდეგ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საკუთრივ ლიგის მესვეურებსაც მოუწევთ დიდ სირთულეებთან შეჯახება.

დავიცადოთ, 2000 წელი ძალიან მალე მოვა, თუმცა მანამდე წესით, დიდი ამბები უნდა დატრიალდეს.

**პაპუნა ძედია**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია

**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული

**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




# ისევ შეგვაწუხა მამა-შვილმა

**ორიოდე კვირაც არ გასულა მას მერე, რაც ირაკლი ლაბაძესთან და მამამისთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მამა-შვილმა „იძულებულნი" გაგვხადა, კვლავ ინტერვიუ აგვეღო და „შეგვეწუხებინა" მკითხველი, მაგრამ ეს იოლი არ აღმოჩნდა.**

მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე ერთეულთა თანრიგში ბრძოლის დამთავრებისთანავე ირაკლი ჟურნალისტებმა ალყაში მოაქციეს, მერე კი ავტოგრაფების მოყვარულებმა დაატყვევეს. ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენც დავიმარტოხელეთ.

**— პირველი ხელი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. მგონი, განერვიულდი კიდეც. ყოველ შემთხვევაში გაბრაზებულმა ჩოგანი მოისროლე, რის გამოც მსაჯის გაფრთხილება დაიმსახურე...**

— არა, ჩოგანი არ მომისროლია. უბრალოდ, უკმაყოფილომ ხელი გავიქნიე და ჩოგანიც გამისხლტა.

**— საბოლოოდ როდის დარწმუნდი, რომ „ოქროს" არ დათმობდი?**

— როცა ანგარიში 3:0 იყო.

**— კირილ ივანოვ-სმოლენსკი აქამდეც დაგიმარცხებია. თქვენ ამ შეჯიბრებამდე უიმბლდონის ფინალშიც ითამაშეთ, მანამდე კი ნახევარფინალში სწორედ კირილს სძლიეთ. იგი მანამდეც არაერთხელ დაგიმარცხებიათ. მაგრამ მოსკოვში კირილი მაინც პირველ ნომრად განთესეს. ეს როგორ მოხდა?**

— ასეც ხდება. თანატოლთა შორის რეიტინგით კირილზე წინა ვარ, კაცთა რეიტინგით კი მას ჩამოვრჩები, რადგან უფროსებში იშვიათად ვთამაშობ.

**— კაცთა რეიტინგით მერამდენე ხარ?**

— 750-ე. ამ საღამოს (ინტერვიუ 19 ივლისსაა აღებული) 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე მივემგზავრები. იმის მერე კი კაცთა ტურნირებში ხშირად ვითამაშებ, რათა რეიტინგი ავიმაღლო.

**— ევროპის ჩემპიონატზე როგორი გეგმებით მიემგზავრები?**

— მიჭირს რაიმეს თქმა. იქ თიხნარზე მოგვიწევს გამოსვლა. ასეთ კორტზე კი ცოტა მიჭირს თამაში...

* * *

ჩვენ რომ აქ, მოფარებულში ვსაუბრობთ, შორიახლოს ირაკლის მამა და მწვრთნელი გივი ლაბაძე არიგებს ინტერვიუებს და მილოცვებსაც ღებულობს. ჩვენც მათ ვუერთდებით.

**— ახლა, როგორც იტყვიან, თქვენი შვილი ორბიტაზე გავიდა. ამას დიდად შეუწყო ხელი მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე გამარჯვებამ, რომ აღარა ვთქვათ უიმბლდონის ფინალში თამაშზე. ამიტომ ახლა ალბათ სპონსორებთან კარგ საკონტრაქტო პირობებზე მოგიწევთ ხელის მოწერა.**

— რა თქმა უნდა, ასეც იქნება. უიმბლდონის ფინალში თამაშმა ირაკლის აქციები ფრიად აამაღლა. მოსკოვში გამარჯვება მას განამტკიცებს. ახლა ყველა გვიცნობს და სპონსორებიც უფრო დაინტერესდებიან. წინათ, მანამ ირაკლის საქმეში ნახავდნენ, რა თქმა უნდა, საკუთარი ხარჯით გვიჭირდა ხშირი მგზავრობა და ტურნირებში გამოსვლა, რის გარეშეც ჩოგბურთელი ვერ გაიზრდება. მერე, როცა ირაკლის თვალი დაადგეს, პირველი კონტრაქტებიც მოვიდა. ასე აღმოვჩნდით გერმანიაში „გრუნვაის მანჰაიმის" კლუბში, სადაც თვით ბორის ბეკერი აღიზარდა. ახლა კონტრაქტი გვაქვს „ტაჩინისთანაც"... ბოლოდროინდელ წარმატებებს მოყვება კონტრაქტები ამერიკელებთან, იტალიელებთან... მიუხედავად იმისა, რომ ირაკლის 18 წლის ჩოგბურთელთა ტურნირებში ცოტა უთამაშია, ამ ასაკის სპორტსმენთა შორის ხუთეულშია, თუმცა თავად 17 წლისაა. წლეულს კაცთა რეიტინგით 500 უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის მოხვედრას ვგეგმავთ. თუ ტრავმამ ხელი არ შეგვიშალა, მიზანს მივაღწევთ.

* * *

*ორიოდე კვირაც არ გასულა მას მერე, რაც ირაკლი ლაბაძესთან და მამამისთან ინტერვიუ რომ შემოგთავაზეთ. მამა-შვილმა „იძულებულნი" გაგვხადა კვლავ ინტერვიუ აგვეღო და „შეგვეწუხებინა" მკითხველი. ისინი იქადნებიან, კვლავაც ხშირად შეგაწუხებთო.*

*ჩვენც ეს გვინდა და მკითხველსაც...*

**ავთანდილ გურასაშვილი**
**მოსკოვი — თბილისი**
**ავტორის ფოტო**



ირაკლი ლაბაძე მოსკოვის კორტზე